საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკარტისიბაგზე ესაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 23-25 სექტემბერი. 2022 წ. №149-150 (9487-9488) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ქასა კალაძე: თბილისელებო, გმადლობთ მოთმინებისთვის!

4



ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობაზე ფიქრი სიგიჟეა

...ამ ტრაგიკული ომის დროს, როდესაც ზოგიერთი ბირთვულ იარაღზე ფიქრობს, რაც სიგიჟეა, ამ ქვეყანამ (ყაზახეთმა) თავიდანვე თქვა უარი ბირთვულ იარაღზე, – აღნიშნა რომის პაპმა ფრანცესკომ ყაზახეთში თავის ვიზიტზე საუბრისას. რომის პაპის თქმით, უკრაინელები განიცდიან სისასტიკეს, საშინელ დამცირებასა და წამებას.

საქართველოს რუსეთის დაშლა არ აწყობს – არასტაბილური ჩრდილოეთ კავკასია რომ არ მიიღოს!

იხ. 2 გვ.

ვინ გადაწყვიტა ოპოზიციაში ახალი კოალიციის შექმნა და რეალურად ამ იდეის უკან რა შეიძლება იმალებოდეს?!

ბიუჯეტის ცნობილი ქურდი კეზერაშვილი ნაღდად ტყემალზე ზის!

3

ჭირსა თუ ლხინში – ეროვნული მრწამსის მოღვაწე



აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე 85 წლისაა

ღმერთმა დალოცოს!

ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს არაერთხელ შევხვედრივარ და ვიცნობ მას, როგორც უაღრესად განათლებულ პიროვნებას, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მომავალი თაობის აღზრდას და აღმოსავლური მწერლობისა და რელიგიური აზროვნების ჩვენი მკითხველისთვის გაცნობას.

მაგრამ მისი მთავარი საზრუნავი და საფიქრალი იყო და არის სამშობლო, მისი აწმყო და მომავალი. იგი ამჟამადაც ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელ კომისიას და ჩვენს რთულსა და წინააღმდეგობებით სავსე დროში თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის ცხოვრებაში. გულითადად ვულოცავთ ბატონ ელიზბარს დაბადების საიუბილეო თარიღს, – 85 წლისთავს. ღმერთმა დალოცოს იგი, მისი ოჯახი და კვლავ დიდხანს ამსახუროს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

მეგობრობისთვის თავგანწირული კაცი

ყველას, ვისაც ელიზბარ ჯაველიძესთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონია, განსაკუთრებულ ადამიანად ჰყავს წარმოდგენილი. ბატონი ელიზბარი ავკარგიანი პიროვნებაა: უაღრესად ნიჭიერი, მეგობრული და თანამდგომი, წესიერი, ღირსების მქონე, მაგრამ უკომპრომისო და დაუნდობელი, როცა საფრთხე ემუქრება ქვეყნის ინტერესებს, ზნეობრივ პრინციპებს, მეგობრობას. ამიტომ მისდამი დამოკიდებულება შეიძლება ერთგვაროვანი არ არის. მე ჩემი აზრი უნდა მოგახსენოთ აბსოლუტურად გულახდილად. ბატონი ელიზბარი რომ ძალიან ღრმა და სერიოზული მეცნიერია, ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი და ჭეშმარიტებაა ჩემთვისაც. ის, რომ აკადემიკოსი ე. ჯაველიძე ქვეყნის ჭეშმარიტ პატრიოტებს განეკუთვნება, ესეც მრავალჯერ დამტკიცებული ფაქტია. ამ თავისმა პატრიოტულმა პოზიციამ მას ბევრ რამეზე, მათ შორის, იმ პრივილეგიებზე ათქმევინა უარი, რაც თავისუფლად შეეძლო მიეღო ზოგიერთი ეროვნული შეხედულების დათმობის ფასად. მე, ალბათ, გამიჭირდება სრულფასოვნად დავახასიათო ბატონი ელიზბარი, როგორც მეცნიერი, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ მან დიდი წვლილი შეიტანა ძველი, მუსლიმური ფილოსოფიის და რელიგიის კვლევის სფეროში და დღესაც განაგრძობს ამ მიმართულებით ძალიან აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას. სარგებლობს ძალიან დიდი ავტორიტეტით აზერბაიჯანელ და თურქ აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერთა წრეებში, იმ საზოგადოებაში, სადაც აღმოსავლური აზროვნების მოდელს კარგად იცნობენ. ბატონი ელიზბარი უაღრესად მეგობრული პიროვნებაა. მეგობრებისთვის ის თავგანწირული კაცია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მას კიდევ ბევრი რამის გაკეთება ძალუძს, როგორც ქართული მეცნიერების აღორძინებისათვის, ისე ქვეყნის სასიკეთოდ.

და, თუ ვიმსჯელებთ მისი ხასიათის ხარვეზზე (რამეთუ უნაკლო მხოლოდ ღმერთია), უნდა ვთქვა, რომ მისი გურულ-იმერული წარმოშობის გამო, ბატონი ელიზბარი ფეთქებადი ადამიანია და აი, სწორედ მაშინ შეიძლება წამოსცდეს ისეთი რამ, რასაც „გამოდარების“ შემდეგ თვითონაც არ ეთანხმება. ერთი რამ უდაოა: ბატონი ელიზბარი იმ იშვიათ პიროვნებათა რიგს განეკუთვნება, რომლის სიტყვა, ფიქრი და საქმე ყოველთვის ერთია და არასდროს ეწინააღმდეგება რაიმე ეროვნულს.

სიყვარულით და ღრმა პატივისცემით

გიორგი კვესიტაძე

გულითადად გილოცავთ!

თქვენ, როგორც გამოჩენილ მეცნიერს, აკადემიკოსს, პუბლიცისტსა და ფილოლოგს ფასდაუდებელი წვლილი მიგიძღვით საქართველოში ფილოლოგიის, თურქოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის სფეროს განვითარების საქმეში.

ჩვენი საზოგადოებისთვის თქვენ ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერი და სამაგალითო პედაგოგი ბრძანდებით, რასაც კოლეგებისა და სტუდენტების მხრიდან თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა ცხადყოფს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს. დღეგრძელობას, მხნეობასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას გისურვებთ ჩვენი ქვეყნისა და ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

იხ. 5,6,7,8 გვ.

მიხეილ ჩხენკელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

ირაკლი ღარიბაშვილმა გენერალური ასამბლეის 77-ე სესიის მონაწილეებს სიტყვით მიმართა

საძართველოს მთავრობის მეთაურმა გაეროს გენერალური ასამბლეის 77-ე სესიის მონაწილეებს, გუშინ სიტყვით მიმართა. მანამდე კი, ირაკლი ღარიბაშვილი გენერალური ასამბლეის გახსნის ცერემონიას და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას დაესწრო. პრემიერი პირისპირ უკვე შეხვდა გაეროს გენერალურ მდივანს, ანტონიო გუტიერეშს, ნიუ იორკში ვიზიტის ფარგლებში პრემიერი ორმხრივ, მაღალი დონის შეხვედრებსაც მართავს.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე არიან. **ვრცლად მორიგ ნომერში.**

ეს რა ტოლერანტული მთავრობა გვყოლია!

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2022 წლის 1 სექტემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“. გიორგი მაქარაშვილმა, ირაკლი კაჭარავამ და ზურაბ ბერძენიშვილმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეიტანეს სარჩელი 2019 წლის ნოემბერში პარლამენტის შენობასთან გამართული დემონსტრაციის დროს შეკრების უფლების შეზღუდვასთან და მათ დაკავებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული დემონსტრაციის დროს სამივე მოსარჩელე (მაქარაშვილი, კაჭარავა, ბერძენიშვილი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკავებული იქნა, სასამართლომ აღნიშნული პირები სამართალდამრღვევებად ცნო და **მაქარაშვილს — 12 დღით, კაჭარავას — 4 დღით, ხოლო ბერძენიშვილს — 7 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმე განიხილა შეკრების თავისუფლების და სამართლიანი სასამართლოს უფლებების ჭრილში.

აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პროტესტის ისეთი ფორმები, როგორიცაა პარლამენტის შენობის შესასვლელების ბლოკირება, პარლამენტისკენ მიმავალ გზაზე დაჯდომა, პოლიციის საქმიანობისათვის ხელის შეშლა, ცალსახად საზოგადოებრივი წესრიგის ისეთ დარღვევას წარმოადგენდა, რაც სცილდება მცირე მნიშვნელობის უწესრიგობის ფარგლებს. ამასთან, უგულებელყოფს დემოკრატიულ საზოგადოებაში პარლამენტის ეფექტიანად მუშაობის მნიშვნელობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დემონსტრაციის ორგანიზატორები და მონაწილეები, როგორც დემოკრატიის პროცესის მონაწილეები, ვალდებულნი არიან პატივი სცენ და დაიცვან ეროვნული კანონმდებლობა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პოლიცია დიალოგს აწარმოებდა დემონსტრაციის მონაწილეებთან. პოლიციამ არაერთხელ გააფრთხილა და მოუწოდა შეკრების მონაწილეებს დაეცვათ კანონმდებლობა.

სასამართლოს შეფასებით, დემონსტრანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირების საკითხზე თავიანთი პოზიცია (მათ შორის, პარლამენტის შენობის შესასვლელების ბლოკირება) მინიმუმ დღენახევრის განმავლობაში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოეხატათ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საკმარისი ტოლერანტობა გამოიჩინა დემონსტრაციის მონაწილეების მიმართ.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს მოძმედებები საძართველოს პარლამენტის შენობის შესასვლელების გათავისუფლების მიზნით მართლზომიერი იყო.

ომბუდსმენს ღია კენჭისყრით ვირჩევთ!

პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა და 104 ხმით მხარი დაუჭირა ინიციატივას, რომელიც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებას ითვალისწინებს.

კერძოდ, 204-ე მუხლის მე-5 პუნქტში იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალს, რომელთა არჩევისას კენჭისყრა ფარულია, სახალხო დამცველი გამოაკლდება და საქართველოს პარლამენტის მიერ ომბუდსმენის არჩევა ღია კენჭისყრით მოხდება.

ინიციატივა პარლამენტს „მოქალაქეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევან იოსელიანმა წარუდგინა. იოსელიანის განცხადებით, აღნიშნული ცვლილება პროცესის გამჭვირვალობასა და ინკლუზიურობას უზრუნველყოფს და საშუალებას მისცემს საზოგადოებას, თვალი მიადევნოს პარლამენტის წევრთა გადაწყვეტილების თანმიმდევრულობას კენჭისყრის შედეგების მიხედვით. მისივე განმარტებით, ფარული წესით არჩევა, საკმარისი ხმების მიღების მიზნით, ხელისუფლებასა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის ფარული გარიგების რისკებს აჩენდა, აღნიშნული ცვლილება კი კენჭისყრის პროცესში ასეთ რისკებს გამორიცხავს.

„პარლამენტმა მხარი დაუჭირა ჩვენს ინიციატივას, რომელიც სახალხო დამცველის არჩევის წესის ფარულობის გაუქმებას და ღიაობის შემოტანას გულისხმობს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს იმას, რომ სახალხო დამცველის არჩევის პროცედურა წარიმართოს გამჭვირვალედ და ინკლუზიურად, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოებას, თვალი მიადევნოს პარლამენტის წევრთა გადაწყვეტილების თანმიმდევრულობას კენჭისყრის შედეგების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ დეპუტატების პოზიცია იყოს საჯაროდ ცნობილი, რათა ხელისუფლებასა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის არ მოხდეს ფარული გარიგებები საკმარისი რაოდენობის ხმების მისაღებად. მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსი თავისი გადაწყვეტილების შესახებ საჯაროდ საუბარს არ უნდა ერიდებოდეს, მას უნდა ჰქონდეს დასაბუთებული პასუხი კითხვებზე, თუ ვის და რატომ უჭერს ან არ უჭერს მხარს, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს, რომელი პოლიტიკოსი რომელ კანდიდატს უჭერს მხარს“, — განაცხადა ლევან იოსელიანმა.

აღნიშნული პროექტი პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა და მიიღო, რათა სახალხო დამცველის არჩევის დროისთვის, შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი იყოს შექმნილი.

ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი გამოცხადდა

საძართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება და დაამტკიცა საქართველოს ეროვნული პრემიის კომისია ცხრაკაციანი შემადგენლობით.

კომისიამ ორბელიანების სასახლეში პირველი სხდომა გამართა, პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად საკონკურსო პირობები დაადგინა და კონკურსი გამოაცხადა. კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი უხელმძღვანელებს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ნათია სულავას განცხადებით, საქართველოს ეროვნული პრემია ენიჭება პირს საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, სამედიცინო, სიცოცხლის შემსწავლელი ან საინჟინრო მეცნიერების დარგში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომისა, ან ნაშრომთა ციკლისთვის, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა არა მარტო ქართული მეცნიერების, არამედ მსოფლიოს სულიერ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

პრემია გაიცემა ყოველწლიურად, არა უმეტეს ორისა, თითოეული — ათი ათასი ლარის ოდენობით.

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადები და ნაწარმოებები მიიღება 2022 წლის 21 სექტემბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მატერიალურად, მისამართზე: ქ. თბილისი, ათონელის ქ. №25, საფოსტო ინდექსი — 0114, ასევე ელექტრონულად, მისამართზე: info@president.gov.ge.

საკონტაქტო ტელეფონის ნომერია (ცხელი ხაზი): (995 32 2288888.

საქართველოს რუსეთის დაშლა არ აწყობს — არასტაბილური ჩრდილოეთ კავკასია რომ არ მიიღოს!

საბჭოთა კავშირის დაშლამ ყველაზე მეტად საძართველო დააზარალა. როგორც ხშირად უყვართ ხოლმე თქმა, ჩვენ იმპერიის ნანგრევებში მოვყევით და ყველაზე მეტად რუსეთმა ჩვენ დაგვსაჯა. ახლაც რომ დაიშალოს პუტინის რუსეთი, საინტერესოა, ვის მოიყოლებს ნანგრევებში და მოიძნევს თუ არა კუდს საძართველოსთვის?

რუსეთის დაშლა ახლა მთელი ცივილიზებული სამყაროს ოცნებად ქცეულა. კრემლის ავანტიურისგან დაღლილი მსოფლიო თავს იმშვიდებს, რომ რუსეთის დაშლა გარდაუვალია თუნდაც იმიტომ, რომ ყველა იმპერიას ასე ემართება, თანაც, რუსეთი ლამის მთელ სამყაროს ბრძოლაში იწვევს.

ევროპაში ემიგრირებული ქართული წარმომავლობის მწერალი **ბორის აკუნინი** (გრიგორი ჩხარტიშვილი) უკვე კარგა ხანია, ამტკიცებს, რომ პუტინის რუსეთის დაშლა შეუქცევადი პროცესია, რადგან პუტინმა უკრაინაში ომის დაწყებით საკუთარი მმართველობის დასასრული მაქსიმალურად დააჩქარა.

„როცა პუტინი აღარ იქნება, ეს ყველაფერი ჩამოიშლება. თუ ისტორიულ პარალელებს გავავლებთ, ყველა მმართველი ებმება ერთ ტრადიციულ მახეში, ამ მახეს „პატარა ომში გამარჯვება“ ჰქვია. რუსეთის ისტორიაში ხშირად მომხდარა, როცა ქვეყანაში იწყებოდა სერიოზული პრობლემები, მმართველს უჩნდებოდა ცდუნება, წამოეწყო მოკლეხნიანი, გამარჯვების მომტანი ომი, ეგონათ, გამარჯვების შემდეგ ყველაფერი დალაგდებოდა, მტრები მოკეტავდნენ. ასე მოხდა ზუსტად ნიკოლოზ მეორის დროს 1904 წელს, როცა ნიკოლოზმა გააცნობიერა, რაღაც ვერ მიდიოდა კარგად, იწყებოდა რევოლუციური მოძრაობები. მას უთხრეს, აგერ პატარა და სუსტი იაპონია, მოდი, ომი გამოვუცხადოთ. მერე, დამარცხების შემდეგ კი აცნობიერებ, რომ საკუთარი შესაძლებლობები გადააფასე, მოწინააღმდეგე სათანადოდ ვერ შეაფასე“, — მიიჩნევს ბორის აკუნინი, რომლის აზრითაც, უკრაინასთან მარცხის შემდეგ უფულოდ დარჩენილი პუტინი გააღრმავებს დაშინების და რეპრესიების პოლიტიკას.

იხ. 11 გვ.

ახალი კოალიცია ოპოზიციაში? – როგორც ჩანს, NDI-ის კვლევის შედეგებით შეშფოთებული მცირე პარტიები არჩევნებამდე გამოსავლის ძიებაში არიან. ამიტომ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ლელო საქართველოსთვის“, „გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „დროა“ სავარაუდოდ, ახალ გაერთიანებას ქმნიან. მუშაობა უკვე დაწყებულია. თუმცა რა ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი შეიძლება ამ პარტიებმა შექმნან, რთული სათქმელია, რადგან მათი რეიტინგი ბოლო კვლევების მიხედვით 2-3%-მდე მერყეობს.

ბიუჯეტის ცნობილი ქურდი კეზერაშვილი ნაღდად ტყუვალზე ზის!

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ამ პარტიების კოალიცია ამომრჩეველს ახალს ვერაფერს შესთავაზებს. მათ იმდენად რადიკალური და დესტრუქციული დღის წესრიგი აქვთ, რომ საზოგადოება „ნაციონალური მოძრაობისგან“ ვეღარ ანსხვავებს. მათ შეცდომა დაუშვეს, როდესაც ენმ-ის ქოლგის ქვეშ გაერთიანდნენ და პოლიტიკური იდენტობა დაკარგეს.

ასევე ვრცელდება კულუარული ინფორმაცია, რომ „სტრატეგია აღმაშენებელს“, „დროას“ და „გირჩი – მეტი თავისუფლებას“ საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი **დავით კეზერაშვილი** აფინანსებს. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ მისაკუთრებასაც ცდილობს და პარტიაში დაწყებული დაპირისპირება სწორედ მის გამოა დაწყებული.

აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი **გიორგი ვაშაძე** აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია, პროევროპულმა პარტიებმა ძალები გააერთიანონ და ისინი ნამდვილად აპირებენ უფრო სიღრმისეულ თანამშრომლობას.

„ჩვენ, პროევროპელებმა ჩვენი ძალები უნდა გავაერთიანოთ. ეს უნდა იყოს ფართო, საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური მოძრაობა, რომელიც საქართველოს მოუტანს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს. ნამდვილად ვაპირებთ უფრო სიღრმისეულ თანამშრომლობას, როგორც პოლიტიკურ, ასევე, არაპოლიტიკურ ჯგუფებთან“, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

სამ ოპოზიციურ პარტიასთან ალიანსს გამორიცხავს „ლელო“. პარტიის წევრების განცხადებით, კოალიციად ფორმირების არანაირი გეგმა დღეს „ლელოს“ არ გააჩნია.

ოთხი ოპოზიციური პარტიის კოალიციად ფორმირების შესახებ განცხადებებს გამოეხმაურნენ „ოცნებაში“, სადაც, როგორც ჩანს, „ლელოსგან“ განსხვავებით ამ ინიციატივის მიზანი და მოტივი კარგად იციან.

„4-მა პარტიამ, დეკლარირებულად განაცხადა (მაინც ერთად არიან, მაინც „ნაციონალურ მოძრაობის“ დავალებებს ასრულებენ) და გადაწყვიტა, რომ ბარემ ერთად იმოქმედონ“, – განმარტა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, **მამუკა მდინარაძემ**.

მისი თქმით, არც „ლელო“, არც „სტრატეგია აღმაშენებელი“, არც „დროა“ და არც „ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე“, რეალურად ასეთი პარტია არ არსებობს, არსებობს ერთი „ნაცმოძრაობა“, რომელიც ასრულებს დავალებებს საქართველოს წინააღმდეგ.

„აქედან გამომდინარე, ისინი ცალკე იქნებიან, ერთად თუ ა.შ. ისინი მაინც ერთნი არიან და ერთ საქმეს აკეთებენ, რასაც საქართველოს საწინააღმდეგო საქმე ჰქვია. რასაც ისინი აკეთებენ, ქვეყნის შიგნით ვერაფერს ვნებენ ხელისუფლებას, პირიქით – „ქართული ოცნების“ რეიტინგი არის გაზრდილი. ეს NDI კვლევამაც აჩვენა. ქვეყნის შიგნით მათი ამ მოქმედებების შედეგი ის არის, რომ „ქართულ ოცნებას“ რეიტინგი ეზრდება, მაგრამ ცუდია, რომ ქვეყნის გარეთ ზიანდება საქართველოს მოქალაქისა და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი“, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამბობს, რომ ოპოზიციას ვერანაირი კოალიცია ვერ უშველის, რადგანაც კოალიციაში არიან ის სახეები, რომელთაც საზოგადოება უარს ეუბნება, ან მათთვის არჩევნებზე 2%-იან მხარდაჭერასაც კი ვერ იმეტებს. ანაჯაფარიძე აცხადებს, რომ ამ კოალიციის იდეის შემოქმედი დიდი ალბათობით „სტრატეგია აღმაშენებელი“ უნდა იყოს და ამას მის აგრესიულ პოლიტიკურ სტრატეგიას უკავშირებს – „გიორგი ვაშაძე ცდილობს, რომ ოპოზიციაში რაღაცა ახალი იდეების წინამძღოლი იყოს“.

„ეს კოალიცია რომც შეიქმნას, მას არანაირი პოლიტიკური წონადობა არ ექნება. არ მგონია, რომ პოლიტიკურ ვითარებაზე გავლენა მოახდინოს. საერთოდ, მგონია, რომ პირიქით მოხდება და მათი რეიტინგი კიდევ უფრო მინუსებში წავა. თუ ეს პარტიები ფიქრობენ, რომ რაღაცა რადიკალური დღის წესრიგით და რიტორიკით, „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეებს გადაიბირებენ, ძალიან ცდებიან. ენმ-ს თავისი ამომრჩეველი ეყოლება და ეს მისი სტაბილური მხარდამჭერია. რით უნდა მოაწონოს მათ თავი „დროამ“, „გირჩმა“ თუ „სტრატეგია აღმაშენებელმა“, რომ მათგან წავიდნენ? არაფერი ისეთი განსაკუთრებული შეთავაზება მათ ამ ხნის განმავლობაში ოპოზიციური ამომრჩევლის მიმართ არ ჰქონიათ. მეორე მხრივ არავის ვურჩევდი, რომ IND-ის ციფრებს დაეყრდნონ.

ადრეც გამოუქვეყნებია ამ ორგანიზაციას ენმ-ისთვის დაბალი რეიტინგი, მაგრამ მერე 27%-მა მისცა არჩევნებში ხმა. კი მესმის, რომ ეს მცირე პარტიები დილემის წინაშე დგანან და აღარ იციან რა გააკეთონ, მაგრამ მე ვურჩევ, რომ რადიკალიზმს, დესტურქციას და აგერსიულ დღის წესრიგს მოეშვან. ყველა ეს პოლიტიკური ძალა საზოგადოებას რით ამახსოვრებს თავს? „გირჩი – მეტი თავისუფლება“-მ ხალხს რა უთხრა, რომ ბევრი რაღაცის გაფუჭება შეუძლია ქვეყანაში. მერე, ხალხს არ ეკითხება, ეს მათ უნდათ, მოსწონთ მისგან ეს დღის წესრიგი?“, – ამბობს ანაჯაფარიძე.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** კი მიიჩნევს, რომ ამ პარტიებს უკვე ნულოვანი შანსი აქვთ საქართველოს მოსახლეობა რამით დააინტერესონ. აბაშიძე for.ge-სთან ამბობს, რომ ეს ფარსი არ გაუვათ, თითქოს რაღაც კოალიციას ქმნიან, რადგანაც ისედაც „ნაციონალური მოძრაობის“ ორბიტის გარშემო არიან გაერთიანებულები. ასე რომ, მათ პოლიტიკური წყლის ნაყვის მსგავსი აქტივობა გამოსდით და ეს მოსახლეობას სიცილის გარდა სხვა არაფერ ემოციას არ უჩენს.

„ამათი საქმე ისეა, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. მათგან ბოლო დაპირებები გვახსოვს, რომ „ცხელი შემოდგომა“ უნდა ყოფილიყო. მანამდე ამბობდნენ, რომ ტექნიკური და ჩრდილოვანი მთავრობა უნდა შეექმნათო. ამიტომ ისევ იმ მოჯადოებულ წრეზე დარბიან. კვლევებმა ის სურათი აჩვენა, რომ ოპოზიციის რეიტინგი სულ უფრო უკან მიდის. ამიტომ თუ მათ საზოგადოებისთვის ახალი იდეების მიწოდების თავი არა აქვთ, ეს უკვე მეტყველებს იმაზე, რომ გახუნებული პოლიტიკოსები არიან. საზოგადოების დაკვეთა რეალურად რა არის, იმას ვერ ხვდებიან და რა კოალიცია უნდა შექმნან?!

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ „დროას“, „გირჩი – მეტი თავისუფლების“ და „სტარტეგია აღმაშენებლის“ დამფინანსებელი დავით კეზერაშვილია და არ არის გამორიცხული ეს გარკვეული პოლიტიკური ბლეფი იყოს, რომლითაც ოპოზიციაში კეზერაშვილს გავლენების კიდევ უფრო გაზრდა სურდეს, აბაშიძე ამბობს, რომ ბიუჯეტის ცნობილი ქურდი ვერც პოლიტიკაში და ვერც მედიაში ვერ გარკვეულა მოპარული ფული სარფიანად როგორ დააბანდოს. შესაბამისად, თუ კეზერაშვილს რაღაცა კოალიციის შექმნა აქვს განზრახული და ამ ჩაძირული პარტიების გადარჩენა უნდა, ტყუილად ირჯება – ურეიტინგო პოლიტიკოსების გაცოცხლებას მაინც ვერ შეძლებს.

ლიკა ბერიკაშვილი

ლევან მურუსიძე: დაკავების შემდეგ სოსო გოგაშვილმა წერილი მომწერა და დამემუქრა, რომ თუ არ გათავისუფლდებოდა, მტრისას!..

ლევან მურუსიძემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე იმ დისკრიმინაციულ კამპანიაზე ისაუბრა, რომელსაც ადგილი აძვს სასამართლოს მიმართ.

მურუსიძემ სოსო გოგაშვილიც ახსენა და თქვა, რომ მისი მხრიდან კვლავაც გაგრძელდება სასამართლო სისტემის დისკრედიტირების მცდელობა, თუკი მმართველი გუნდი მას დახმარებას არ აღმოუჩენს.

„ძალიან რთულია ამაზე საუბარი, ვინაიდან იმ ადამიანზე უნდა ვისაუბრო, რომელთანაც დაახლოებით 25 წლის ახლო ურთიერთობა მაკავშირებს. საუბარია ბატონ სოსო გოგაშვილზე, რომელმაც განაცხადა, რომ მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძის მიერ ხდებოდა, სუს-ის გამოყენებით, კონკრეტულ მოსამართლეებზე ზეწოლა. ბატონი სოსოს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს. შესაბამისად, როდესაც დაკავებული იყო და სასამართლოში უნდა განხილულიყო აღკვეთის ღონისძიების საკითხი, სავარაუდოდ, ჩვენი ურთიერთობიდან გამომდინარე, დამიკავშირდა ასეთი შინაარსის წერილით, რომ თუ ჩემი მხრიდან დახმარება არ იქნებოდა, ანუ არ იქნებოდა გამოშვებული, გადადგამდა ყველანაირ ნაბიჯს და სასამართლო სისტემას და ზოგადად, ვთქვათ მე და მიხეილ ჩინჩალაძეს და ა.შ. ისეთ რაღაცებს დაგვაბრალებდა, რაც წარმოუდგენელი იყო და მაქსიმალურად მოახდენდა სასამართლოს დისკრედიტაციას. შესაბამისად, მოაყოლა ერთი განცხადება, რომელიც თქვენ ყველამ იცით – რომ, თითქოს, მიხეილ ჩინჩალაძე, სუს-ის დახმარებით, მოსამართლე ალავიძეზე ახდენდა ზეწოლას. ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, მესამედ მოხდა ჩემზე შეტყობინება და, ფაქტობრივად, იმის აღიარება, რომ „ხომ ხედავ, რომ დაწყებულია სასამართლოს დისკრედიტაცია? თუ თქვენ არ გადადგამთ გადამწყვეტ ნაბიჯებს და არ დამეხმარებით, აღნიშნული დისკრედიტაცია გაგრძელდება და არნახულ მასშტაბებს მიიღებს. შესაბამისად, მოხდება ისეთი ფაქტების დაბრალება, რომ სასამართლო სისტემა ვერანაირად ვერ გათეთრდება. რეაგირებას ვაპირებ, რომ ჩემი მტკიცებულებებით უახლოეს პერიოდში მივმართო პროკურატურას. ბატონ ბესოს, „რუსთავი 2-ის“ საქმესთან დაკავშირებით, სამჯერ აქვს ინტერვიუ მიცემული. ორი ინტერვიუ მიცემულია, ვიდრე „რუსთავი 2-ის“ საქმეზე გადაწყვეტილება იქნებოდა. ერთ წერილობით განცხადებად აქვს დაწერილი, რომ როდესაც ბატონი ნიკა გვარამია აცხადებდა, რომ მიშა ჩინჩალაძე მოსამართლეებზე ზეწოლას ახდენს, სამმა მოსამართლემ, წერილობითი განცხადებით, მათ შორის ბესო ალავიძემ, თქვა, რომ მასზე არავითარი ზეწოლა არ მომხდარა. როდესაც „რუსთავი 2-ის“ საქმე დამთავრდა, ასევე აქვს ინტერვიუ მიცემული და აცხადებს, რომ მასზე არავითარი ზეწოლა არ მომხდარა. სამსახურიდან, ვადის ამოწურვიდან ერთი წლის შემდეგ, როგორც თვითონ აცხადებს, მოხდა რაღაც გარკვეული შეხვედრები, ვთქვათ, არასამთავრობოებთან და დიპლომატიურ წრეებთან და შემდგომ თქვა, რომ მასზე იყო განხორციელებული ზეწოლა. რატომღაც, ეს აიტაცეს პოლიტიკურმა წრეებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. არ შეხედეს იმას, რომ თავის დროზე, ბესო ალავიძეს სამჯერ ჰქონდა უარყოფილი აღნიშნული ფაქტი და შესაბამისად, მიმართეს პროკურატურას გამოძიებისთვის და დაიწყეს (საუბარი), რომ ამაზე საჭიროა რეაგირება. ზუსტად ამას მოჰყვა ბატონი სოსო გოგაშვილის წერილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს აბსოლუტურად უფაქტო, სასამართლოს მადისკრედიტებელ საქმეებზე გააკეთა ასეთი განცხადება“, – აღნიშნა მურუსიძემ.

დედაქალაქი

განახლებას ალტერნატივა არა აქვს!

კახა კალაძე: თბილისელებო, გმადლობთ მოთმინებისთვის!

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და ქუთაისში „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალზე თავდასხმის ფაქტს გამოეხმაურა.

თბილისის მერმა მთავრობის სხდომაზე ბოლო პერიოდში ქალაქში გადაადგილების არსებულ პრობლემაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საცობების მატება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით არის გამოწვეული.

„საკმაოდ აქტუალურია დედაქალაქში საცობების საკითხი და ალბათ ბევრს უჩნდება კითხვა, რა ხდება და რატომ არის ასეთი ვითარება, განსაკუთრებით ცენტრალურ უბნებში. პასუხი მარტივია — ჩვენ დავიწყეთ ძალიან მნიშვნელოვანი სატრანსპორტო რეფორმის განხორციელება, რომელსაც ბოლო ათწლეულებია არავინ შეხებია. ვიცოდით რას ვაკეთებდით, რამდენად მძიმე თემა იყო. მას შემდეგ, რაც სწავლა დაიწყო, ცენტრალურ ქუჩებში საცობებია და გადაადგილება გართულებულია. ეს ყველაფერი გამოწვეულია იმ ინფრასტრუქტურული სამუშაოებით, რომელიც მუნიციპალიტეტმა დაიწყო, ორ მნიშვნელოვან გამზირზე — მელიქიშვილისა და ქეთევან დედოფლის. არაერთხელ ვთქვით, რომ სადაც შევდივართ სამუშაოებით, გვინდა, რომ ყველაფერი მაქსიმალურად მოვაწესრიგოთ თავისი მიწისქვეშა კომუნიკაციებით. ამას თან ახლავს დისკომფორტი. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო განსაკუთრებით ამ გამზირებზე მცხოვრებ ხალხს, რადგან კარგად ვიცი, თუ რა პირობებში გაატარეს ზაფხული. აქ დღე და ღამე მიმდინარეობდა სამუშაოები. იყო ხმაური, მტვერი, რაც მათ სერიოზულ დისკომფორტს უქმნიდა. ისინი ამ ყველაფერს გაგებით ეკიდებოდნენ, რადგან იციან, რომ ეს კეთდება ჩვენი ქალაქის და ჩვენი შვილებისთვის“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე განმარტებით, მელიქიშვილისა და ქეთევან დედოფლის გამზირების რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, წერეთლის გამზირის განახლება დაიწყება. მისივე თქმით, პირველი დაპირება, რაც მუნიციპალიტეტს ჰქონდა, შესრულდა და თბილისს სრულად განახლებული, ევროპული ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჰყავს, შემდეგ ეტაპზე კი მოქალაქეებმა ამ ტრანსპორტით გადაადგილება უპრობლემოდ უნდა შეძლონ.

* * *

დედაქალაქში ყოველდღიურად ხორციელდება მონიტორინგი, რაც ტრანსპორტით გადაადგილებისას არსებულ შეფერხებებს ხსნის.

„დედაქალაქში გვაქვს, დაახლოებით, 20 პრობლემური მარშრუტი, სადაც გზების შეზღუდული გამტარუნარიანობის გამო, დაგეგმილი ბრუნების, დაახლოებით, 30% ვერ სრულდება. ეს ნიშნავს, რომ პიკურ პერიოდში საზოგადოებას განახევრებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი ემსახურება, რაც ერთი მხრივ, ზრდის მოლოდინის დროს და მეორე მხრივ, ვიღებთ გადავსებულ საზოგადოებრივ ტრანსპორტს. ამ შეფერხების მიზეზი რამდენიმე კვანძია, მათ შორის, მარშალ გელოვანის კვანძი, სადაც გათვლებმა აჩვენა, რომ პიკურ დროს ნაკადების 15%-ის შემცირებით, აღნიშნული კვანძი ავტომობილებს დასაშვები სიჩქარით გაატარებს. ამდენად, თუ პრობლემურ კვანძებს განვაზოგადებთ მთლიანი ავტომობილების რაოდენობაზე, გადაადგილებისთვის საჭირო 8-10%-სთვის მაინც გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რაც ვფიქრობთ, რეალურია და სრულიად შესაძლებელი“, — აღნიშნა კახა კალაძემ. მისი თქმით, ამ მხრივ, ყველა ევროპულმა ქალაქმა გაიარა ის გზა, რასაც ახლა თბილისი გადის.

კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელზეც თბილისის მერმა ისაუბრა, კოჯორში განხორციელებული სამუშაოებია. კერძოდ, კოჯორში, იუნკერთა ქუჩაზე, სადაც მიმდინარე წლის ივნისში მიწის მასის ჩამოშლამ გზის სავალი ნაწილი დააზიანა, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები დასრულდა.

ფერდის გამაგრების სამუშაოები სპეციალისტების მიერ ჩატარებული დეტალური კვლევის შედეგად დაიგეგმა. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი რეაბილიტირებულ გზაზე საავტომობილო მოძრაობა ორმხრივად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე აღდგება.

უცხოეთში გატანილი ნახატების კიდევ ერთი ნაწილი ეროვნულ მუზეუმს დაუბრუნდა

გელგიის სამეფოში საქართველოს საელჩოსთვის 90-იან წლებში დროებით საექსპოზიციოდ გადაცემული 6 ფერწერული ტილოდან 5 ნამუშევარი, კულტურის სამინისტროს ძალისხმევით, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა, — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

„კერძოდ, ეროვნულ გალერეაში დაბრუნდა 5 ფერწერული ტილო, რომლებიც 1993 წელს საელჩოს დროებით გადაეცა: **ლევან ლაღიძე** — „პეიზაჟი“; **ზაზა ბერძენიშვილი** — „კომპოზიცია“; **გელა მანჯავიძე** — „მაგიდის ქვეშ“; **თამაზ კაკაბაძე** — „თეთრი სახლი“ და **ზაურ გოლავა** — „ქალი ყვავილებით“.

ბელგიიდან კიდევ ერთი ტილო დაბრუნდა, მაგრამ ის, სამუზეუმო ექსპერტების შეფასების შედეგად, არ აღმოჩნდა **ედმუნდ კალანდაძის** „შიშველი ქალი“, რომელიც ზემოაღნიშნულ 5 ტილოსთან ერთად იქნა საელჩოსთვის გადაცემული.

შეგახსენებთ, რომ 2021 წლის აპრილში, თეა წულუკიანის ინიციატივით, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეიდან სხვადასხვა დროს (1999-2010 წლები) უცხოეთში ან სხვადასხვა უწყებაში გატანილი ექსპონატების შეგროვება და მათი მუზეუმებში დაბრუნება დაიწყო.

შედეგად, 2021 წლის მაისში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა კულტურის სამინისტროს შენობაში მოძიებული 12 ფერწერული ტილო (**ელენე ახვლედიანი**, „ფასანაური“; **ელენე ახვლედიანი,** „ძველი ქუთაისი“; **ედმონდ კალანდაძე,** „ძველი სასაფლაო — ბაზილიკა“; **გურამ (ხიტა) ქუთათელაძე**, „ნატურმორტი“; **გურამ (ხიტა) ქუთათელაძე**, „პეიზაჟი“; **ლევან ლაღიძე,** „განდევნა“; **სერგო ქობულაძე,** „რუსთაველი“; **სერგო ქობულაძე,** „დანტე“; **იდა ოცხელი,** „ფოთოლცვენა“; **რადიშ თორდია,** „მოხუცი ქალი შემოდგომის ყვავილებითძ; მიხეილ ხვიტია, „შემოდგომა“; **თენგიზ ცხონდია,** „ძველი თბილისის კუთხე“).

2021 წლის სექტემბერში, ეროვნულ გალერეაში დაბრუნდა ჩეხეთის რესპუბლიკაში 2010 წელს გატანილი 4 ფერწერული ტილო: **ირაკლი სუთიძის** „ნატურმორტი“; **თენგიზ ცხონდიას** „ქართლი“; **ომარ კაჭკაჭიშვილის** „ადრეული გაზაფხული“ და **გურამ ნავროზაშვილის** „აღორძინება“.

ასევე, 2021 წლის ნოემბერში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაბრუნდა 2003 წელს რუსეთის ფედერაციისთვის საქართველოდან დროებით საექსპოზიციოდ გადაცემული ნახატები. ეს ნახატები წლების განმავლობაში რუსეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის საცავებში ინახებოდა. საქართველოში რუსეთიდან დაბრუნდა შემდეგი ნამუშევრები: ბორის ფოგელი — „თელავი“ (1936 წელი); **ევგენი ლანსერე** — „ხევსურეთი“ (1926 წელი); **ბორის ფოგელი** - „სასულიერო სემინარია“ (1934 წელი); **გრიგორი გაგარინი** — „ქართველი ქალები“ (1854 წელი); **ლევ ლაგორიო** — „ანასტასია ორბელიანი-გაგარინას პორტრეტი“ (1850 წელი), **კარლ უუკოვსკი** — „ივანე ანდრონიკაშვილის პორტრეტი“ (1850 წელი).

საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოდან კი, 1999 წელს დროებით საექსპოზიციოდ გატანილი 2 ფერწერული ტილო დაბრუნდა, ესენია: **გივი თოიძის** „ძველი თბილისი“ და **კოტე ჭანკვეტაძის** „ნატურმორტი“.

საქართველო უვიცი მძღოლებითაა სავსე

ახალი წესის ამოქმედების შემდეგ მართვის მოწმობა 90 პროცენტით ნაკლებმა ადამიანმა მიიღო

უკვე ოთხი თვეა, მართვის მოწმობის გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი გახდა. მოედნის გარდა, დამწყებ მძღოლებს გამოცდის ჩაბარება ქალაქშიც უწევთ. ამან ჯერ გამოცდაზე გამსვლელ პირთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია, რასაც მართვის მოწმობის მიმღებთა საგრძნობი კლებაც მოჰყვა. თუკი ადრე თვეში 5000-მდე ადამიანი ახერხებდა გამოცდის ჩაბარებას, ახლა ეს მაჩვენებელი 90%-ით არის შემცირებული.

ივნის-ივლისში მართვის მოწმობის გამოცდა რეალურ მოძრაობაში 1341-მა პირმა ჩააბარა. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ივნისში მართვის მოწმობა 556 ადამიანზე გაიცა, ხოლო ივლისში — 785-ზე.

რაც შეეხება მაისის თვის მონაცემებს, მართვის მოწმობის გამოცდა 2269-მა პირმა ჩააბარა, თუმცა მართვის მოწმობის აღების მსურველი პირების ნაწილი გამოცდაზე ძველი, ხოლო ნაწილი ახალი სისტემით გავიდა.

გამოცდის რეალურ სივრცეში გადატანას ავტოსკოლების ნაწილი მიესალმება. კომპანიებში მიიჩნევენ, რომ ამით მართვის მოწმობის აღების მსურველთა საბაზისო უნარ-ჩვევები გაუმჯობესდება.

ავტოსკოლა „არტ დრაივის“ ინსტრუქტორი **მიშა ცხადაძე** აღნიშნავს, რომ გამოცდის ფორმატის ცვლილებით გზებზე უსაფრთხოებაც გაიზრდება.

„მართვის მოწმობის გამოცდის ჩაბარება მხოლოდ მოედანზე არ იყო საკმარისი. აუცილებელი იყო გამოცდის ქალაქში გადატანა. მთელ მსოფლიოში ასეა — გამოცდა ბარდება ქალაქში. აპრილის ბოლოდან გამოცდის პრაქტიკული ნაწილის ჩაბარება დაიწყო ქალაქის ქუჩებში. ვფიქრობ, ასე ჯობია, ვინაიდან მეტი გამოცდილება შეიძინეს დამწყებმა მძღოლებმა.

გზებზე უსაფრთხოების გაზრდისთვის ასე უკეთესია.

ჩვენი დაკვირვებით პირველი 2 თვე იყო რთული. თავიდან მოსწავლეებს ქალაქში გამოცდის ჩაბარება დაძაბულობის, ნერვიულობის და გამოუცდელობის გამო ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ მომდევნო თვეებში გამოსწორდა სიტუაცია“, — განაცხადა „ბიზნეს მედიასთან“ ცხადაძემ.

„B“ და „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა ორეტაპიანი მიმდინარე წლის 25 აპრილიდან გახდა. პირველი ეტაპი კვლავ დახურულ მოედანზე ტარდება, ხოლო მეორე ეტაპი - რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში. მძღოლობის კანდიდატს უფლება აქვს პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე, თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გავიდეს, ხოლო პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე, პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან 365 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაინტერესებული პირი დაიშვება (პირველადი გასვლა) პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან არაუადრეს 15 დღისა.

ბექა დანელია

ჭირსა თუ ლხინში – ეროვნული მრწამსის მოღვაწე



აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე 85 წლისაა

ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, მწერალსა და პუბლიცისტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ელიზბარ ჯაველიძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

ბატონი ელიზბარი 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შუაგულში იმყოფება და უდიდესი შემართებით იცავს ჭეშმარიტ ქართულ აზრს ლიტერატურასა თუ მეცნიერებაში. მრავალფეროვანი შემოქმედებითა და ეროვნული მრწამსით მუდამ მხარში უდგას ქართველ ხალხს და ჭირსა თუ ლხინში თავისი მართალი სიტყვით მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ისტორიაში, როგორც ჭეშმარიტი მემატიანე.

მთელი მისი ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორი ღირსებით შეიძლება იღვწოდეს ადამიანი სხვადასხვა სფეროში - მეცნიერებაში, ლიტერატურასა თუ პოლიტიკაში და დარჩეს ყველგან საკუთარი პრინციპების ერთგული.

ელიზბარ ჯაველიძე დაიბადა 1937 წლის 5 აგვისტოს, ქ. თბილისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ მუშაკად. რედაქტორობდა ჟურნალ „კრიტიკას“, გაზეთებს „ლიტერატურული საქართველო“, „საქართველოს სამრეკლო“ იყო გაზეთების – „სამრეკლო“, „კოლხური კოშკი“, „ახალი ერა“ და სხვ. გამომცემელი და რედაქტორი. 1991 წელს ეკავა საქართველოს განათლების მინისტრის პოსტი, 1998-2003 წლებში იყო პარლამენტის წევრი და თავმჯდომარეობდა ფრაქცია „XXI საუკუნეს“.

1966 წელს მან დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1975 წელს – სადოქტორო დისერტაცია.

ამჟამად ბატონი ელიზბარი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანია. ამავე დროს არის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე.

ბატონი ელიზბარი ქართული ორიენტალისტური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია და მისი მასწავლებლის, გიორგი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ ქართული თურქოლოგიის ლიდერი გახდა.

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე დღეს საქართველოში ხელმძღვანელობს თურქოლოგიას, ჩართულია თურქულ-ქართულ ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობათა კვლევებში. თურქულის გარდა, იგი დიდი ინტერესით მუშაობს აზერბაიჯანული, სპარსული, უზბეკური ლიტერატურის სფეროში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომები აღმოსავლურ და ქართულ კულტურათა ურთიერთობის შესახებ.

თავისი მეცნიერული ძიებების მთავარ საგნად მან შუა საუკუნეების თურქული ლიტერატურა აირჩია. მის მიერ მოპოვებული შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანია არა მარტო საკუთრივ თურქული, არამედ აღმოსავლური ლიტერატურის, რელიგიის, ფილოსოფიისა და ესთეტიკის შესწავლისათვის. საყოველთაოდ აღიარებულ მონოგრაფიებში მეცნიერმა წარმოადგინა ორიგინალური დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია აღმოსავლური პოეზიისა და ლიტერატურათმცოდნეობის ასპექტებთან. სხვა საკითხებთან ერთად, მეცნიერის მიერ ახლებურადაა გააზრებული მისტიკური და მიწიერი სიყვარულის მიმართების პრობლემა.

აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიცისტური წერილი. მას ეკუთვნის სამი ფუნდამენტური მონოგრაფია აღმოსავლეთის ფილოსოფიურ-რელიგიურ მიმდინარეობაში – სუფიზმში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ელიზბარი, საკვანძო საკითხების ანალიზითა და დასკვნებით, ახალ ეტაპს ქმნის სუფიზმის კვლევის დარგში. განსაკუთრებით ცნობილია მისი ნაშრომები აღმოსავლურ და ქართულ კულტურათა ურთიერთობების საკითხებზე. 2010 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ფუთუვეთი-სულიერ-რაინდული ძმობა“ ელიზბარ ჯაველიძემ ახლებურად დაასაბუთა ქართულ მეცნიერებაში გამოთქმული ვარაუდი ქართველთა მეფის - ლაშა-გიორგისა და რაინდების ურთიერთობებზე. იგი გახლავთ ავტორი საქართველოს ისტორიისათვის მეტად საშური წიგნებისა: „უკეთუ სულთა“ (თბილისი, „მერანი“, 1989 წ.), „უკუნეთი“, „ახალი ერა“ (თბილისი, 2001 წ.), „რას დადუმებულხართ, თქვე ერისშვილებო?“ (თბილისი, 2006 წ.), „ავაჰმე, ჩემო მამულო!“ (თბილისი, 2007 წ.), „საქართველოში უზნეობის სუფევს თარეში“ (თბილისი, 2011 წ.), „მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად?“ (თბილისი, 2015 წ.), „რუჰი ბაღდადი“ (ბაქო, 2018 წ., აზერბაიჯანულად) და ა.შ. მის ნაშრომს „ოდეს შავისგან თეთრის გამორჩევის ჟამი დადგება“ (ტ. I), „განთიადის გამნათებელ ღმერთს ველტვი, რათა უკუნი ღამის ბოროტებას განვერიდო“ (ტ. II) მიენიჭა გიორგი წერეთლის სახელობის აკადემიური პრემია.

მნიშვნელოვანია აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის წიგნი „თურქული პოეტიკა“, რომელშიც კონკრეტულადაა გაანალიზებული ჟანრის, ფორმის, ვერსიფიკაციისა და სხვა საკითხები, ყველა პრობლემა, რაც აღმოსავლური პოეტიკით დაინტერესებული მკითხველისთვისაა აქტუალური.

ბატონი ელიზბარი ცნობილია, როგორც მთარგმნელი, რომელმაც გიორგი შაყულაშვილთან ერთად, კომენტარებით თარგმნა შუა საუკუნეების თურქული ეპოსი – „დედე-ქორქუთი“.

ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია ელიზბარ ჯაველიძე, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, თეორეტიკოსი, პუბლიცისტი. წლების მანძილზე უშურველად ემსახურება ლიტერატურულ კრიტიკას. თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით მან ცხადი გახადა ცნობილი ძველი გამონათქვამი: **სინათლე-შუქი-ცოდნა აღმოსავლეთიდან მოდის.** აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე არის ცივილიზაციათა, კულტურათა დიალოგის, ჰუმანისტური იდეალების ერთგული მეცნიერი და მოქალაქე.

აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის პედაგოგიურ საქმიანობასთან. იგი წლების მანძილზე კითხულობს ლექციებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დიდი ამაგი მიუძღვის კვალიფიციური კადრების აღზრდაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელიზბარ ჯაველიძის პიროვნული თვისებები – კეთილშობილება და ზნეობრიობა. როგორც ყველა ჭეშმარიტი ოჯახიშვილისთვის, მისთვისაც ოჯახი წმიდათაწმიდა სალოცავია. იგი შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუაა.

იუბილარი ჩვეული ენერგიითა და შემართებით განაგრძობს მოღვაწეობას სამეცნიერო და საზოგადოებრივ სფეროში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს სახელოვან იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას, წარმატებულ სამეცნიერო, შემოქმედებით საქმიანობასა და დასახული მიზნების ჩვეული ენერგიით განხორციელებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

განსხვავდე, უარყო და წინ აღუდგე!... მაღალი შემართების მკვლევარი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე 85 წლის შესრულდა. რვა ათეული ისტორიისათვის ერთი ამოსუნთქვაა, ცალკეული პიროვნებისთვის კი სოლიდური ასაკია. საამაყოა, როცა ამ წლებს გადაავლებ თვალს და იუბილარის განვლილ გზას დააკვირდები. ეს სამშობლოზე შეყვარებული, ქვეყნის ბედზე, მის ხვალინდელ დღეზე მოფიქრალი ადამიანის მიერ მაღალ დონეზე განვლილი გზაა.

ბედმა ყმაწვილკაცობის ასაკიდან დამაკავშირა ელიზბარ ჯაველიძესთან. სამოცი წელია ვიცნობ მას და ახლო ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. ეს ურთიერთობა ჩვენი სასახელო ალმა-მატერიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაიწყო. ჩვენ სტუდენტები, ელიზბარი – აღმოსავლეთმცოდნეობის, მე ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდით. ორივე უნივერსიტეტში შესვლის უმალ გავერთიანდით სტუდენტთა სამეცნიერო ორგანიზაციაში და ბეჯითად შევუდექით საქმიანობას. გარკვეული დროის შემდეგ ერთად მოგვიხდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობა. ელიზბარი და მე ამ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად აგვირჩიეს (სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი აწ განსვენებული, შესანიშნავი მეცნიერი ალეკო ალექსიძე გახლდათ). იმ დროის უნივერსიტეტში სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. ელიზბარ ჯაველიძე აქაც გამორჩეული იყო. იგი თავგამოდებით იკვლევდა თურქულ ლიტერატურას. საგანგებოდ ვინახავ 1960 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მიერ გამოცემულ სტუდენტთა XX სამეცნიერო კონფერენციის თეზისებს, სადაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია ელიზბარ ჯაველიძის სამეცნიერო მოხსენების ,,აზიზ ნესინის სატირისათვის“ თეზისები (ხელმძღვანელი – დოც. ნ. ჯანაშია). სტუდენტი-მეცნიერი ღრმად ჩასწვდა პრობლემას და აჩვენა, რომ თურქულ ლიტერატურაში სატირა ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს, რომელიც ხასიათდება ფრიად შეურიგებელი და დაუნდობელი ტონით, მიმართული არსებული სოციალური სინამდვილის წინააღმდეგ. ბატონი ელიზბარი აზიზ ნესინის თემას შემდგომშიც დაუბრუნდა, თარგმნა კიდეც მწერლის შემოქმედების რამდენიმე ნიმუში (მკითხველს მოვაგონებ, რომ გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ რამდენიმეჯერ დაბეჭდა ელიზბარ ჯაველიძის მიერ თარგმნილი აზიზ ნესინის სატირული მოთხრობა „გიჟი სახურავზე“).

ელიზბარ ჯაველიძემ გამოიკვლია თურქული ლიტერატურის პრობლემები და არ არის შემთხვევითი, რომ იგი დღეს არა მარტო საქართველოს, არამედ მის ფარგლებს გარეთაც აღიარებული მეცნიერია. იგი ფაქტობრივად წარმატებით აგრძელებს აკადემიკოს სერგი ჯიქიას მიერ საფუძველჩაყრილ თურქეთის (განსაკუთრებით ლიტერატურათმცოდნეობის) პრობლემების კვლევას. ელიზბარ ჯაველიძემ წარმატებით დაიცვა მეცნიერული ხარისხები (საკანდიდატო, სადოქტორო) და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იგი ყოველთვის გამოირჩეოდა დახვეწილი მეცნიერული გემოვნებით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრ ფაქტს მამაცურად და საფუძვლიანად ეხმაურებოდა. მახსოვს, გასული საუკუნის 60-იან წლებში მისი აქტიური მონაწილეობა ბაკურიანის სიმპოზიუმში, სადაც საქართველოს ახალგაზრდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია იკრიბებოდა და მსჯელობდნენ სხვადასხვა საჭირბოროტო, მათ შორის ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. ელიზბარ ჯაველიძის მამაცური (თამამი) გამოსვლა ბაკურიანის სიმპოზიუმის ერთ-ერთ სხდომაზე, ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მოექცა, არასწორად მიიჩნიეს მის მიერ დაყენებული ზოგიერთი საკითხი და ლამის დასაჯეს კიდეც.

მნიშვნელოვანი საკითხია ელიზბარ ჯაველიძის მონაწილეობა ეროვნულ მოძრაობაში. იგი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გვერდით იდგა და მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებდა. არ არის შემთხვევითი, რომ ბატონი ელიზბარი (უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დაინიშნა. მეც ამ პერიოდში დავინიშნე (შემდეგ ამირჩიეს) უნივერსიტეტის რექტორად და რეალურად ვუყურებდი ელიზბარ ჯაველიძის ღრმად ეროვნულ, მაღალპროფესიულ საქმიანობას მინისტრის პოსტზე.

ბატონმა ელიზბარმა გასული საუკუნის 90-იან წლებში ბევრი სირთულე ნახა, გარკვეული წლები იძულებით ემიგრაციაშიც წავიდა, მისი მიზანსწრაფული, დაუდგრომელი ხასიათის შედეგია, რომ იგი ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ საოცარი აქტივობით ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ალბათ არ დარჩენილა ქვეყანაში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, ბატონ ელიზბარს, რომ თავისი დამოკიდებულება არ გამოეჩინა. მის მიერ გამოცემული პუბლიცისტური წიგნები, სტატიები სხვადასხვა გაზეთებში, ნათლად აჩვენებს ელიზბარ ჯაველიძის მტკიცე ხასიათს, პრინციპულობას, შეფასებაში ობიექტურობას. მეცნიერისთვის ორგანულია ეროვნული საფანელი ყველა საქმეში და, სადაც იგი უარყოფითს ხედავს, კრიტიკული დაუნდობლობით გამოირჩევა.

ბატონი ელიზბარი 2013 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრია – აკადემიკოსია, ხელმძღვანელობს მეცნიერებათა აკადემიის კომისიას, რომელიც ეროვნული პრობლემების შესწავლითა და მათი შემდგომი გადაჭრისთვის ზრუნვითაა დაკავებული.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ელიზბარ ჯაველიძის ოჯახის შესახებ. მას ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი ნინო, რომელიც პროფესიით ისტორიკოსია და მნიშვნელოვანი გამოკვლევების ავტორია; შვილები, შვილიშვილები... ერთი სიტყვით, იგი მონაგარში ბედნიერია.

85 წლის ელიზბარ ჯაველიძე დღესდღეობით შესანიშნავ შემოქმედებით ფორმაშია. გასაკეთებელი ბევრია. გულწრფელად მახარებს მისი კარგად ყოფნა და მინდა ვუსურვო მრავალჟამიერი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და მაღალი შემოქმედებითი წარმატებები.

როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი

იხ. 6 გვ.

გაანსხვავდე, უარყო და წინ აღუდგე!..

ეს ხატოვანი გამოთქმა შევარჩიე მისალმების ტექსტის სათაურად, რითაც მივმართე აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის 75 წლის იუბილეზე, რასაც დღესაც უცვლელად ვტოვებ, რამდენადაც სრულად და მოხდენილად გამოხატავს ბატონი ელიზბარის მრწამსსა და პრაქტიკულ მოღვაწეობას. მართლაც, იშვიათია ისეთი ბედნიერი შემთხვევა, როდესაც პიროვნებაში თანაბრად არის შერწყმული მეცნიერი და მამულიშვილი. ბატონი ელიზბარი ამ სიმბიოზის ბრწყინვალე მაგალითია. მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მონოლითური მთლიანობაა, რომელიც აღბეჭდილია ქვეყნისა და ერის ერთგული და ფხიზელი მსახურის უპრეტენზიო და მუხლჩაუხრელი შრომით.

ბატონი ელიზბარი საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერია. მისმა გამოკვლევებმა და თარგმანებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ქართული და საერთაშორისო თურქოლოგიის განვითარებაში.

ელიზბარ ჯაველიძე, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, მუდმივად აყურადებს ქვეყნის მაჯისცემას და მართალი სიტყვით ეხმიანება მის ავკარგს. ბოლო 30 წლის მანძილზე არ ყოფილა საქართველოს ცხოვრებაში მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა (მათ ეპიცენტრში ხშირად თვითონ იმყოფებოდა), რომელსაც ბატონი ელიზბარის პირუთვნელი და პრინციპული განსჯის გარეშე ჩაევლო. უნდა ითქვას, რომ საზოგადოება ყოველთვის ინტერესით ელოდება და ანგარიშს უწევს მის პოზიციას, რაც, უთუოდ, განპირობებულია მისი შეუვალობით, როცა საქმე ეროვნულ ინტერესებს ეხება.

უკომპრომისო, ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების შეფასებასა და გადაწყვეტაში, ულმობელი ერის ტრადიციებისა და მორალური პრინციპების შეურაცხმყოფელთა მიმართ;

ერთგული ქომაგი მამულიშვილობისა და ზნეობისა.

სამაგალითო მინისტრი და ბრწყინვალე რედაქტორი, **მზრუნველი** მეოჯახე და უღალატო მეგობარი – ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ ბატონი ელიზბარი. ის „იგივეა მარად და მარად“.

ვუსურვოთ იუბილარს ჯანის სიმრთელე, „სიმხნე და მოცალეობა“, რათა კვლავაც დიდხანს ემსახუროს თავის საყვარელ საქმეს და სამშობლოს.

რამაზ ხუროძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი

ცხოვრება მეცნიერებისა და ქვეყნის სამსახურში

აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლის, ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერების, ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით, გამოჩენილი წარმომადგენელი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ქართული საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი თავისი მრავალმხრივი და ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მოღვაწეობით.

ცხოვრებამ ისე ინება, რომ მოწმე გამხადა მისი აღმასვლისა ჯერ სკოლაში, სადაც მან ავტორიტეტი მოიპოვა არამარტო მასწავლებლებში, არამედ მეორე ვაჟთა სკოლის საკმაოდ თავისებური ზნის მქონე მოსწავლეებშიც, შემდეგ უნივერსიტეტში, სადაც მალე გაითქვა სახელი წარმატებებით თურქოლოგიაში. კარგად გვახსოვს მისი აქტიური მონაწილეობა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში და უკვე დამოუკიდებელი საქართველოს განათლების მინისტრობა და პარლამენტის წევრობა. გარდა სამეცნიერო და მთარგმნელობით სფეროში მიღწევებისა, ელიზბარ ჯაველიძეს საზოგადოება იცნობს, როგორც მგზნებარე პოლემიკოსს, რომელიც ყოველთვის მზად არის დაიცვას ეროვნული ინტერესები, ამხილოს მცდარი სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებები. ჟურნალისტური პათოსის გამომუშავებაში მას დიდად შეუწყო ხელი გაზეთ ,,ლიტერატურული საქართველოს“ და ალმანახ ,,კრიტიკის“ მთავარ რედაქტორად მუშაობამ. მისი მეცნიერების ორგანიზაციის განხრით შესაძლებლობების აღიარებას წარმოადგენს ელიზბარ ჯაველიძის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივნად არჩევა. შეიძლება ითქვას, რომ მან დიდი გარდატეხების ეპოქაში იცხოვრა თავისი პრობლემებით აღსავსე, თუმცა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეით ფრთაშესხმული ქვეყნის ცხოვრებით.

ვულოცავ ჩემს მეგობარს დაბადების დღეს და ვუსურვებ დიდ წარმატებებს თავის მოღვაწეობაში.

რისმაგ გორდეზიანი,
აკადემიკოსი

ყველა ასპარეზზე თავდადებული მოღვაწე

ელიზბარ ჯაველიძე – იმ ქართველის სახელი და გვარია, ვინც მრავალი ათეული წელია დგას ქვეყნის ლიტერატურული, აკადემიური და ეროვნული ცხოვრების სადარაჯოზე.

ჩემდა საბედნიეროდ, შემსწრე ვარ მისი თავდადებული მოღვაწეობისა ყველა ასპარეზზე.

უპირველესად მახსენდება გასული საუკუნის ოთხმოციანი წლები, როდესაც ბატონი ელიზბარი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ მთავარი რედაქტორი ბრძანდებოდა. ამ პერიოდში არა მარტო მრავალჯერ გაიზარდა გაზეთის ტირაჟი, არამედ ის ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა და აზროვნების წამყვან წყაროდ იქცა. სწორედ მაშინ მივაშურე გაზეთს, ჯერ ჩემი თარგმანებით, ხოლო შემდეგ პუბლიცისტური წერილით – „თავისუფალი ბრბოსგან ისე, როგორც მეფისგან“. ემოციურად აბობოქრებულ საზოგადოებას, რომელიც მოწყურებულ თავისუფლებას ესწრაფვოდა, ბუნებრივია, იმთავითვე ემუქრებოდა საშიშროება, მისი გარკვეული ფენები ბრბოს ინსტიქტით არ ამოქმედებულიყვნენ და არ ასცდენოდნენ ცივი გონებით განსჯის უტყუარ გზას.

წერილის სათაური ლორდ ბაირონს დავესესხე. განათლებით გამორჩეული ქვეყნის გენიოს შვილს კაცობრიობის მომავალი ასე წარმოედგინა:

მე მომავალი ასეთი მსურს ამა ქვეყნისა,
თავისუფალი ბრბოსგან ისე, როგორც მეფისგან

ვისაც ეს წერილი ახსოვს, ახლაც უკვირს, როგორ არ შეუშინდა რედაქცია იმ ხალხის გაღიზიანებას, ვინც ქვეყნისთვის ამის პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენდა. ელიზბარ ჯაველიძეს ამისი ოდნავი ნიშანწყალიც არ დასტყობია.

1991 წელს, ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს, როგორც განათლების მინისტრს, გავუზიარე ჩემი კონცეფცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო საქართველოს საჯარო სკოლებში უცხოური ენების სწავლება, რათა უნივერსიტეტში ამ სპეციალობაზე ჩარიცხული სტუდენტი დროულად დაუფლებოდა არა მხოლოდ ენას, არამედ მეცნიერებას, საკუთრივ უცხოური ფილოლოგიისა და ლიტერატურის წიაღსვლებს, და რომ უცხოური ენის სწავლება აუცილებლად განხორციელებულიყო იმ ენაზე მოსაუბრე ქვეყნის კულტურის ათვისების ფონზე. ეს კონცეფცია სტატიის სახით მალევე მივაწოდე გაზეთ „განათლებას“, რომლის ახალგაზრდა და პროგრესულმა მთავარმა რედაქტორმა, ბატონმა კახა სიხარულიძემ, ის დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა. მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ზვიად გამსახურდია ცოცხალი აღარ იყო, შემთხვევით გავიგე, რომ საქართველოს პრეზიდენტს განსაკუთრებული ყურადღება გამოუჩენია ამ წერილისადმი, დაკავშირებია მინისტრს, გამოუკითხავს მისთვის ავტორის ვინაობა და უთხოვია ეს ყოველივე დროულად დანერგილიყო საქართველოში. სამწუხაროდ, როგორც მოგვეხსენება, საქართველოში მალევე განვითარდა სამოქალაქო ომი და ამ პროექტს საჯარო სკოლებში განხორციელება არ ეწერა.

რაც შეეხება თავად იდეას, ამან თავისი მაინც გაიტანა და ამის განხორციელება გადავწყვიტე მხოლოდ ინგლისური ენის ბაზაზე და 1995 წელს დავაფუძნე თბილისის ბაირონის სკოლა, როგორც ინგლისური ენისა და კულტურის დამატებითი კერძო სასწავლებელი. აგერ უკვე თითქმის სამი ათეული წელია ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები ღირსეულად წარმოაჩენენ ამ სკოლის სახელს არა მარტო ჩვენში, არამედ დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და ინსტიტუციებში. ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ კი არ დააყოვნა ამ იდეის დაფასება და საკუთარი სამი შვილიშვილი ინგლისური ენის დასაუფლებლად სწორედ ჩვენ სკოლას მიანდო. განსაკუთრებით გვეამაყება და გვახარებს ის, რომ უმცროსი ელიზბარ ჯაველიძე გაჭრილი ვაშლივით ჰგავს უფროს ელიზბარ ჯაველიძეს.

ბატონ ელიზბარ ჯაველიძესთან თანამშრომლობის დღევანდელი სფერო კი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, სადაც აკადემიკოსი ჯაველიძე ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელ კომისიას ხელმძღვანელობს და ამავე დროს გახლავთ ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. როგორც ამ განყოფილების ხელმძღვანელმა, მან უკვე შეძლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ აღდგენა.

გავიხსენებ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ბატონ ელიზბართან თანამშრომლობის ერთ პატარა ეპიზოდს: ბოლო წლების მანძილზე რუსთველის ტექსტზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მიიპყრო პროლოგის მერვე სტროფმა „მე რუსთველი ხელობითა...“, რომელიც აღმოჩნდა კოდირებული კრიპტოგრამის შემცველი. საჯარო გამოსვლების გარდა, ეს ფაქტი აისახა ჩემს პუბლიკაციაში „როგორ გვმართებს ვეფხისტყაოსნის ავტორის მოხსენიება“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 25 მარტი, 2022 წელი). წერილის გამოქვეყნებამდე ორიოდე თვით ადრე ეს აღმოჩენა ბატონ ელიზბარს გავანდე. არ მავიწყდება ის გულწრფელი სიხარული, რომელიც მან განიცადა და გამოხატა. მერე კი დასძინა: „ მთელი ცხოვრება ფარულ კოდს ვეძებ ვეფხისტყაოსანში და ვერ ვიპოვეო. თქვენმა მიგნებამ ისე გამახარა, თითქოს ეს ჩემი საკუთარი მიგნება ყოფილიყოსო“.

ის რაც ზემოთ აღვწერე, ეს ხომ პირადი ურთიერთობების შთაბეჭდილებებია. მაგრამ როგორც ქართულ საზოგადოებას შესანიშნავად მოეხსენება, ელიზბარ ჯაველიძემ წარუშლელი კვალი დატოვა მეოცე საუკუნის საქართველოს განვითარების ისტორიაში. ცხოვრების ასეთი გზის განვლას ბევრი რამ სჭირდება, უპირველესად სამშობლოს უანგარო სიყვარული, თავდადება, მოყვასის ერთგულება, წესიერება, სამართლიანობა და კიდევ მრავალი სხვა. მაგრამ, ამავე დროს, თამამად ვიტყოდი შემდეგს: მთავარია, ამ გზაზე მიმავალს არ შეგეშინდეს. ელიზბარ ჯაველიძეს არასოდეს შეშინებია.

ინესა მერაბიშვილი,
აკადემიკოსი

ჭეშმარიტი მამულიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოსმდივანი, ბატონი ელიზბარ ჯაველიძე ახალგაზრდული ენერგიით ხვდება დაბადების დღეს.

საყოველთაო აღიარებით, ელიზბარ ჯაველიძის ფართო მეცნიერული დიაპაზონი, ღვაწლი ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც საკუთრივ თურქული, ასევე, საზოგადოდ, აღმოსავლური ლიტერატურის, რელიგიის, ფილოსოფიის, ესთეტიკის შესწავლისათვის. ფასეულია ე. ჯაველიძის შრომები აღმოსავლურ-ქართული ურთიერთობის საკითხებზე, მის მიერ შესრულებული თარგმანები.

მრავლისმომცველია ბატონი ელიზბარის სამეცნიერო ინტერესების სფერო: თურქული, სპარსული, აზერბაიჯანული, უზბეკური ლიტერატურა. იგი ავტორია გახმაურებული წიგნებისა და გამოკვლევებისა მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაზე, მძაფრი პუბლიცისტური წერილებისა.

საკმარისია მოვიხმო თუნდაც ორი მაგალითი: გოგლა ლეონიძის პოეზიის უაღრესად სიღრმისეული, ორიგინალური შეფასება („ერთი ლექსის საიდუმლოება“) და პლატონის „სახელმწიფოს“ ანალიზის ფონზე ე.წ. ,,ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ,,ფსევდოდემოკრატიის პირობებში საქართველოში არსებული რეალური ვითარების გაბედული, პირუთვნელი შეფასება...

ელიზბარ ჯაველიძის შეძახილი, მოქალაქეობრივი პოზიცია, პროფესიონალიზმი სჭირდება დღევანდელ საქართველოს, რაც აძლიერებს ეროვნულ სულისკვეთებას და მრავალთათვის, განსაკუთრებით მომავალი თაობისთვის, წარმოადგენს მამულიშვილობის შესანიშნავ მაგალითს!

ბატონი ელიზბარი – ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე (დამოუკიდებელი საქართველოს განათლების მინისტრი, პარლამენტის წევრი, ბრწყინვალე რედაქტორი), დღესაც დაუღალავად მოღვაწეობს ქვეყნის სასიკეთოდ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში იგი ძალზე ნაყოფიერად წარმართავს ეროვნული პრობლემების შემსწავლელ კომისიას, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას, მისი ძალისხმევით ამ მიმართულებით აღდგენილ ჟურნალ“მაცნეს“და მრავალ სხვ.

ელიზბარ ჯაველიძე ერთგულია ჩვენი ეროვნული ფასეულობების, ღირსეული ტრადიციების. ამის დასტურია მისი დიდებული ოჯახი! ამის დასტურია მისი სამეგობრო!

ვუსურვებ ბატონ ელიზბარს მისი სათაყვანებელი სამშობლოს გაძლიერებას, „სულ ვარდული განთიადი ბრწყინავდეს მის მწვერვალებზე და ველებზე, სულ იცინოდეს მის მკერდზე თვალმაისი გაზაფხული... უცოცხლოს ფუძე და კერა, ტკბილ-ქართული დედაენა... უცოცხლოს ვაზი, ყანის მზეკაბანი... სულ თავს დაჰნათოდეს გამარჯვების მზე... სულ ნათობდეს მისი გონების ნათელი, დაუშრეტელი იყოს მისი ღონის მარაგი!...“

ჭეშმარიტ მამულიშვილს, ჩემს ძვირფას უფროს მეგობარს – ბატონ ელიზბარს მივმართავ საუკეთესო სურვილებით!

ვალერი ასათიანი

მებრძოლი ბუნების ადამიანი

ზოგი რამის გახსენება ალბათ უკვე შეიძლება...

ბატონი ელიზბარ ჯაველიძე ოთხი ათეული წლის წინ გავიცანი შემთხვევისა გამო.

მწერალთა და მეცნიერთა მცირე ჯგუფი ფშავში მიემგზავრებოდა საღონისძიებოდ და მეც მათ შორის აღმოვჩნდი. გავიარეთ ანანურში, მის სააგარაკე სახლში. თან იახლა თავისი უფროსი ვაჟი დიმიტრი – სკოლის ასაკის, მშვენიერი გარეგნობისა და მოსაწონი ზრდილობის ყმაწვილი. გენეტიკური ხედვით ძნელი არ იყო მასში ბატონი ელიზბარის ბავშვობა დაგენახათ...

თავად შთაბეჭდილება, რომელიც ბატონი ელიზბარის პირველ გაცნობას ახლდა, საკმაოდ არაორდინარული იყო. ერთი შეხედვით მისი ქცევითი და სამეტყველო ნორმები რაიმე განსაზღვრულ სტანდარტს არ ექვემდებარებოდა. უფრო სწორად, მას თვითონ ჰქონდა შემუშავებული საკუთარი ეტიკეტი და სულაც არ თვლიდა საჭიროდ, ვინმეს გემოვნებისა და შეხედულებებისათვის გაეწია ანგარიში.

ერთი სიტყვით, იმდროინდელი სისტემის მკაცრად რეგლამენტირებულ საზოგადოებაში იგი განასახიერებდა თავისუფალსა და დაუმორჩილებელ პიროვნებას და უთუოდ ეს განაპირობებდა თვალსაჩინო პიეტეტს გარემომცველი კოლეგებისა და ახალგაზრდების მხრივ.

მისი ამ თვისებებიდანვე გამომდინარე, ახალგაზრდა კოლეგა-თანამშრომლები ასევე თავისუფლად გრძნობდნენ ბატონ ელიზბართან თავს (მაგალითის ძალა) და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, უშუალობის ნიშნად თიკუნით მოიხსენიებდნენ. ეს უკვე ლინგვისტური შთაბეჭდილება იყო: მეტსახელით, წესისამებრ, ზურგსუკან მოიხსენიებენ ადამიანს, მაგრამ პირადად ასე არ მიმართავენ (თუ დამცირება არ განუზრახავთ). ამ შემთხვევაში კი „ელიბოს“ ურთიერთობებში ლამის მთლიანად ჩაენაცვლებინა მეტრიკის სახელი. ამისი მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ „ელიბო“ „ელიზბარის“ ხალხური ვარიანტია და არა – ნამდვილი მეტსახელი (თიკუნი).

ეს ყოველივე დროისა და პიროვნების ურთიერთმიმართების ხაზგასასმელად გავიხსენე: ეპოქა ქმნის (შობს და აყალიბებს) პიროვნებებს და – შემდეგ – პიროვნებები ქმნიან (გარდაქმნიან თუ ცვლიან) ეპოქას.

როგორც ჩანს, თავის დაზღვევისათვის, „პიროვნებების“ ხაზგასმაა კიდევ ერთხელ საჭირო...

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე აღიარებული აღმოსავლეთმცოდნე-თურქოლოგია. მრავალმხრივია მისი კვლევები ძირითადი კვალიფიკაციის მიმართულებით. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შუასაუკუნეების აღმოსავლური რელიგიური, ფილოსოფიური და ესთეტიკური თავისებურებების კვლევაში, განსაკუთრებით სუფიზმის რელიგიურ-ფილოსოფიური არსის ახსნასა და როლის წარმოჩენაში აღმოსავლეთის ქვეყნების შემოქმედებით სამყაროში. ელიზბარ ჯაველიძის ფუნდამენტური ნაშრომები - „რუჰი გაღდადი“ (1968), „თურქული პოეტიკა“ (1988), „თურქული ლიტერატურის სათავეებთან“ (სამწიგნეული - 1979, 1985, 2013), „ფუთუვეთი“ (2010), 2020-2021 წლებში გამოცემული ორტომეული – „ოდეს შავისგან თეთრის გამორჩევის ჟამი დადგება“ (2020) და „განთიადის გამნათებელ ღმერთს ველტვი, რათა უკუნი ღამის ბოროტებას განვერიდო“ (2021) და სხვ. ქართველ თუ უცხოელ აღმოსავლეთმცოდნეთა სამაგიდო წიგნებია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების (1961) შემდეგ ელიზბარ ჯაველიძემ შესანიშნავი პროფესიული - სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილება შეიძინა დიდი მეცნიერების – აკად. გიორგი წერეთლისა და პროფ. სერგი ჯიქიას ხელმძღვანელობით, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა (1962) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრაზე (1986). დღეს იგი თავად არის ლიდერი და გზის მაჩვენებელი ამ სფეროში...

ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები, როგორც წესი, ქართული ორიენტალისტური სკოლის ტრადიციისამებრ, გამორჩეულ ქართველოლოგებს - ლინგვისტებს, ლიტერატორებს, ისტორიკოს-წყაროთმცოდნეებს წარმოადგენდნენ; ამის საფუძველს, ცხადია, მათი ფართო საკვალიფიკაციო თვალსაწიერი ქმნიდა. მათი სახელების ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. ბატონი ელიზბარი წარმატებით აგრძელებს და ავითარებს ამ მნიშვნელოვან ტრადიციას. ისიც უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთმცოდნეებს ზოგჯერ პროფესიული მიკერძოებაც გამოაჩნდებოდათ ხოლმე აღმოსავლური ლიტერატურული მემკვიდრეობის სასარგებლოდ. მაგალითად, დაჟინებით „პოულობდნენ“ „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ წყაროებს. ბატონი ელიზბარი საფუძველშივე არის ამისაგან დაზღვეული, იმდენად ღრმად არის ეროვნული „ვაქცინით“ აცრილი. ამას ზოგადად კი არ აღვნიშნავთ, სწორედ კონკრეტული პოზიციები იგულისხმება, მათ შორის - რუსთაველის გენიალურ პოემასთან დაკავშირებით...

ქართველი ლიტერატორები აღიარებენ ელიზბარ ჯაველიძის წვლილს ძველი და ახალი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის კვლევაში. მისი წერილები „შუშანიკის წამების“, „გალობანი სინანულისანის“, „ვეფხისტყაოსნის“, „სიბრძნე-სიცრუისას“, ილიას, მე-19 - მე-20 საუკუნეების გამორჩეული სიტყვის ოსტატების შესახებ საფუძვლიანად წარმოაჩენს ქართული მწერლობის ძირითად მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ ტენდენციებს, ამ მემკვიდრეობის ადგილს ეროვნული კულტურის ისტორიაში.

სრულიად განსაკუთრებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, გულისმიერია ელიზბარ ჯაველიძის დამოკიდებულება მშობლიურ ქართულ ენასთან. იგი სისხლხორცულად შეიგრძნობს და დარაჯად უდგას ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საიმედო თუ უარყოფით ტენდენციებს. ახლახან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მისი თაოსნობით აღადგინა დიდად ავტორიტეტული სამეცნიერო გამოცემა „მაცნე“ (ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია). აღდგენილი კრებულის პირველ ნომერს წამძღვარებული აქვს ელიზბარ ჯაველიძის, როგორც მთავარი რედაქტორის, ვრცელი „მეგზური“ წერილი (ილიასეული სათაურით: „ენა სამღთო რამ არის... მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“). რაზე შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთ წინამავალ წერილში უპირველესად ლაპარაკი? ნიშანდობლივია, რომ მთავარი რედაქტორის ეს წერილი პირდაპირი გაგრძელებაა იმ ხაზისა, რასაც ილია ჭავჭავაძე ქართული ენის უფლებებისა და სიწმინდის დასაცავად წარმართავდა. და ეს მიდგომა შემთხვევითი სულაც არ არის, რადგანაც ქართული ენის განვითარების ბედი მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული ქართული სამეცნიერო სკოლების, მით უფრო, ქართველოლოგიური მიმართულებების დღევანდელ და ხვალინდელ მდგომარეობასთან.

მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდი ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ სივრცეში კარდინალური ისტორიული ცვლილებებით აღინიშნა. დიდი სისწრაფით განვითარდა იმედისმომცემი და, იმავდროულად, მტკივნეული პროცესები. შემთხვევით არაფერი ხდება და ელიზბარ ჯაველიძე ადრიდანვე მოექცა იმ მოვლენების ეპიცენტრში, რომელიც ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებებს აყალიბებდა და განსაზღვრავდა. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული, მას მოუწია წლების განმავლობაში ყოფილიყო მნიშვნელოვანი ლიტერატურული გამოცემების „ლიტერატურული საქართველოს“, „კრიტიკის“ და სხვათა რედაქტორი და თავისი ხელი დაატყო ამ გარდამტეხი პერიოდის სამწერლო და საზოგადოებრივ პროცესებს. იგი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი და განათლების მინისტრი (1991). 90-იან წლებში მას მოუხდა საკმაო დროით პოლიტიკურ ემიგრაციაში წასვლა, მაგრამ არც გერმანიაში ყოფნის დროს გაუწყვეტია სამშობლოსთან სულიერი და შემოქმედებითი კავშირი. იგი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი 1998-2003 წლებში, რასაც კიდევ მოჰყვა ნეობოლშევიკური რეპრესიები...

ადამიანის ცხოვრებაში ბევრ რამეს თანდაყოლილი ბუნება და ნიშატი განაპირობებს. ელიზბარ ჯაველიძე, უეჭველია, მეომარი ბუნების ადამიანია და, ისევ ილია მართლის სიტყვისამებრ, რაკი თანამედროვეობას სხვა იარაღი აღარ შეჰფერის, მუდმივად ბასრ პუბლიცისტურ „მახვილზე“ უდევს ხელი და პათეტიკური შემართებით სხეპს მარჯვნივ და მარცხნივ. მართალია, ზოგჯერ მისი „სატევრის“ წვერი თანამებრძოლებსაც უწევს, მაგრამ მთავარია, რომ ათასი ჯურის ქვებუდანნი დიდი შიშის კანკალში არიან!..

ვუსურვოთ ბატონ ელიზბარს, კვლავაც ასეთი ჭაბუკური შემართებით, კალამდაუბლაგვებლად და მელანდაუშრეტლად ეღვაწოს ქართული სიტყვისა და საქმისათვის!

ავთანდილ არაბული

იხ. 8 გვ.

ეროვნული მრწამსის მოღვაწე

აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი

გატონო ელიზბარ!

გულმხურვალედ მოგესალმებით საქართველოს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, თვალსაჩინო მეცნიერს და მოგილოცავთ დიდ საიუბილეო თარიღს - დაბადებიდან 85 წლის იუბილეს!

ჩვენს მოძმე, მეგობარ საქართველოში, თქვენ ბრძანდებით არა მხოლოდ აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, არამედ, მეცნიერი, ეროვნული მოღვაწე, რომელმაც საკუთარ სამშობლოს, ბრწყინვალე, შესაშური ნაშრომებით მთელს მსოფლიოში გაუთქვა სახელი!

თქვენ მიერ შექმნილი თურქოლოგიის სკოლა ცნობილია არამარტო კავკასიაში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და სახელგანთქმულია, როგორც მეცნიერული, მდიდარი ტრადიციებით, ასევე უნიჭიერესი მოწაფეებით! თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ელიზბარ ჯაველიძე, სრულიად კავკასიის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის „უკანასკნელი მოჰიკიანია“!

აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის აზებაიჯან-საქართველოს მეცნიერების განვითარება-წინსვლისა და ურთიერთანამშრომლობის საქმეში. მისი ფუნდამენტური კვლევა- ძიებანი, რომელიც უძღვნა მუჰამედ ფუზულის და მის თანამედროვე რუჰი ბაღდადის შემოქმედებას, მნიშვნელოვანი გვირგვინია ჩვენი ხალხების სამეცნიერო თუ ლიტერატურული კავშირებისა!

აზერბაიჯანელი ხალხისთვის უძვირფასესი – „სულიერი წყარო“, უნიკალური ეპიკური ძეგლის „დედე ქორქუთის წიგნის“ თარგმნა და სამზეოზე გამოტანა თქვენ მიერ, აზერბაიჯანში დიდად არის დაფასებული!

ელიზბარ ჯაველიძის დამსახურებაა ნიზამ განჯევის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ქართველ მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება, ასევე, შეუფასებელია მისი ღვაწლი ორ მოძმე ხალხს შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებაში.

დიდად პატივცემულო ბატონო ელიზბარ!

ვსარგებლობ უმშვენიერესი მოვლენით და მსურს, როგორც უძვირფასეს მეგობარს და გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, გულმხურვალე მოღვაწეს, მოგილოცოთ დაბადების დღე, გისურვოთ ჯანმრთელობა და ახალ-ახალ მიჯნათა დაპყრობა მეცნიერებაში!

დიდხანს იცოცხლეთ თქვენი მზიური სამშობლოსა და მის თაყვანისმცემელთა საკეთილდღეოდ!

უდიდესი პატივისცემით,

ისა ჰაბიბეილი,

აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ჩემი უფროსი მეგობარი

ძალიან მეამაყება, რომ ელიზბარ ჯაველიძეს ჩემს უფროს მეგობარს ვუწოდებ. სამწუხაროდ, ჩვენ ირგვლივ მრავლად არაა ასეთი რანგის პერსონები და მით უმეტეს გვმართებს მათი განსაკუთრებული დაფასება და პატივისცემა; ისინი ხომ საქართველოს ექსისტენციალურ საგანძურს ქმნიან. და მაინც, რა არის ჩემს აღქმაში ელიზბარ ჯაველიძის ფენომენი?

ეს არაა ერთგვაროვანი, მარტივად წასაკითხი, უმტკივნეული ფენომენი, არამედ – საკმაოდ რთული, მრავალნიშნა, მრავალწახნაგოვანი და ამიტომაც ძალზედ საინტერესო, არაორდინარული... ელიზბარ ჯაველიძე – ესაა მთელი სპექტრი ძალზედ ტევადი მახასიათებლების: დიდი პატრიოტი, ჭეშმარიტი ინტელექტუალი, შემოქმედი, მებრძოლი, მოქალაქე, ნაღდი ადამიანი... იგი საოცრად მეგობრულია, თბილია და იმავდროულად საკმაოდ ძნელი, ზოგჯერაც ძალზედ მწარე, ეკლიანი, კბილებიანი. იგი შემართული და გაბედულია, უფრო მეტიც, თავდადებული, თუ კი ამას საქმე მოითხოვს და იმავდროულად საკმაოდ წინდახედული, გონიერი და ბრძენი ადამიანი. მასში კრიტიკული, თავისუფალი აზროვნება შერწყმულია ტრადიციის უდიდეს სიყვარულთან და ძალასთან. მოყვასისადმი, სამშობლოსადმი მოზღვავებული სიყვარულის უნარი მასში განსაცვიფრებლად თანაარსებობს იმ მძაფრი სიძულვილის უნართან, რომელიც მას აქვს ერის მტრებისა და არაკაცების მიმართ. მას შეუძლია დღე და ღამე სკრუპულოზურად ჩაძირული იყოს თავის მეცნიერულ, ლიტერატურულ თუ პუბლიცისტურ მუშაობაში და შემდგომ უდიდესი შეუპოვრობით და ენერგიით გადაეშვას პოლიტიკური ბრძოლის მღელვარე ნაკადში. იგი შემწყნარებელიცაა და შეურიგებელიც, მოყვარულიც და მოძულეც, ტკბილიც და მწარეც, ბრძენიც და მშფოთვარეც... იგი საოცრად სავსეა...

ეროვნული მოძრაობის და „მრგვალი მაგიდის“ მმართველობის პერიოდში ელიზბარ ჯაველიძე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დიად საქმეს ემსახურება; იგი ზვიად გამსახურდიას უღალატო, უანგარო თანამოაზრე და თანამებრძოლია; იგი, მართლაცდა, ძვირფასი შენაძენია დამოუკიდებელი საქართველოს ახალი ხელისუფლებისათვის და მთელი მისი შემდგომი უკომპრომისო მოღვაწეობა ასევე შთაგონებულია ხალასი და სიღრმისეული ეროვნული სულისკვეთებით.

განსაცვიფრებელია ის ვითარება, რომ უკვე საკმაო ასაკში მყოფი ელიზბარ ჯაველიძე არნახულ ძალას, შეუპოვრობას და ენერგიას ავლენს ნაციონალური მოძრაობის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი მუდმივად მოძრაობს და გადაადგილდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფლეი; ყოველ მის სიტყვას, მიმართვას და უბრალოდ ყოფნასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საერთო საქმისთვის, რაც მანკიერი ავტორიტარული რეჟიმის დამარცხებას ისახავს მიზნად... იგი დაუღალავად იბრძვის თავისი ხალხის თავისუფლებისათვის... და ახლაც, იგი, ვგონებ, ისევ სავსეა ახალგაზრდული შემართებით და მზადაა ემსახუროს თავის სამშობლოს, რომელიც მას გულის სიღრმემდე უყვარს და სტკივა... ემსახუროს თავისი სიბრძნით, კალმით, სიტყვით და შეუპოვრობით.

ყოველთვის, როდესაც ვხედავ ბატონ ელიზბარს, რაღაც ხალასი სიხარულის გრძნობა მეუფლება; თითქოს რაღაც განსაკუთრებული ,,ცოცხალი სიო“ მოდის მისი პიროვნებიდან. დიახ, მიხარია და მეამაყება, რომ მას ჩემს უფროს მეგობარს ვუწოდებ... უფალმა დაგლოცოთ ბატონო ელიზბარ და მხნეობა, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა არ მოგაკლოთ!

ირაკლი ბათიაშვილი

აღმოსავლეთმცოდნეობის ალამდარი

ელიზბარ ჯაველიძე საქართველოში თურქულენოვანი ლიტერატურის კვლევის ფუძემდებელია. მის ვრცელსა და მრავალფეროვან შემოქმედებაში დაუნჯებული ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორის, ტექსტოლოგიისა და თეოლოგიის კარდინალური საკითხები უმაღლეს ფილოლოგიურ-ფილოსოფიურ დონეზეა ნაკვლევი.

ბატონი ელიზბარი მსოფლიოში შუა საუკუნეების აღმოსავლური ლიტერატურის ერთადერთი სწორუპოვარი მკვლევარია. სწორედ ამიტომ თურქული ფილოლოგიური ელიტის წარმომადგენლებმა საელჩოს მეშვეობით მას, ქართველ მეცნიერს, სთხოვეს თავიანთივე კლასიკოსების თხზულებათა სიღრმისეული კონცეპტუალური სვლებით ინტერპრეტაცია. სუფიური ლიტერატურა ფუნქციურ-ინფორმაციული სპეციფიკით არის დატვირთული და ნიჭდალოცვილი აკადემიკოსის წყალობით ხელმისაწვდომი გახდა არა მხოლოდ ლიტერატურით, არამედ ზოგადსაკაცობრიო კულტურით დაინტერესებულთათვის.

ელიზბარ ჯაველიძე დაკვირვებული მკვლევრის შესაშური ალღოთი სადად, ამომწურავად გვითავისებს რუჰი ბაღდადისა და ნეფის, ჯელალედინ რუმისა და ფუზულის, აშიკ ფაშისა და ალიშერ ნავოის, ნესიმისა და იუნუს ემრეს თხზულებებს. მხატვრული სიტყვის ამ ოსტატებს მეცნიერი წარმოაჩენს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

აკადემიკოსი კომპლექსურად იკვლევს დედე ქორქუთისა და ქოროღლის დესთანების შუააზიურსა და ახლოაღმოსავლურ წყაროებს. ჯაველიძისეული კვალიფიციური ანალიზი სარწმუნოდ ხდის მის ფოლკლორულ წიაღსვლებს. ისლამამდელი თურქულენოვანი ხალხების ზნეობრივ-ესთეტიკური მრწამსის აღსაქმელად თვალში საცემია მისი კრეატიული ძალისხმევა ორხონისა და ენისეის რუნიკული წარწერებით გაჯერებული მასალის მოქნილი და ლოგიკური ინტერპრეტაციისას.

დაბოლოს, ფასდაუდებელია აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძის ჭეშმარიტი მამულიშვილური ხედვით გამსჭვალული, სანიმუშო წერილები ქართველი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებაზე. მისი ყოველი ქმედება იმ პატიოსანი ადამიანის პოზიციის მანიფესტაციაა, ვისთვისაც სამშობლოს სიყვარული და საქმის ერთგულება სულიერ სიმშვიდეზე უფრო მაღლა დგას.

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის! გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ნაყოფიერ, საინტერესო, შემოქმედებით ცხოვრებას.

მარიკა ჯიქია,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი

გიორგი კალანდია:

ფაქტია, რომ დადიანების სასახლე ფონდ „ქართუს“ და ბიძინა ივანიშვილის გადარჩენილია!

მავანი, პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანები იძახდნენ, რომ ნიკო დადიანის სასახლე ინგრევა და ყველაფერი იმაზე უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე რეაბილიტაციამდე იყო. დადიანების სასახლე ხომ ყველა პოლიტიკაზე მაღლა დგას და ყველა პოლიტიკურ გემოვნებაზე უფრო მაღალია. აი, ამ ადამიანებს გავახსენე ის, რომ რითაც ჩვენ ვამაყობთ და არის ჩვენი ევროპელობის სიმბოლო, გადარჩა და გადაარჩინა ფონდმა „ქართუმ“ და უპირველეს ყოვლისა ბიძინა ივანიშვილმა, – ამის შესახებ ისტორიკოსმა, ხელოვნების სასახლის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი კალანდიამ განაცხადა.

„მნიშვნელოვანია ის, რომ ზუგდიდის დადიანების სასახლე რომ ევროპის, ჩვენი, ქართველთა ევროპულობის და ევროპული ორიენტაციის სიმბოლოა, ამას ევროპარლამენტარი ამბობს. ძალიან სასიამოვნო ფაქტია და ჩვენი ეროვნული საგანძურის უცხოელებისათვის გაცნობის კიდევ ერთი ძალიან კარგი შანსი.

ამ სასახლის რეაბილიტაციას დასჭირდა ძალიან დიდი დრო, ფინანსები. რეაბილიტაციის ინიციატორი უშუალოდ ბატონი ბიძინა ივანიშვილი იყო. მე ძალიან კარგად მახსოვს, ის ოჯახთან ერთად მოვიდა — ნიკო დადიანის სასახლე დაათვალიერა, რომელიც იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, ყველა გვეუბნებოდა, რომ მისი გადარჩენა იყო შეუძლებელი. მაგრამ ეს ყველაფერი გაკეთდა, გადარჩა. მე მახსოვს, მავანი, პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანები იძახდნენ, რომ ნიკო დადიანის სასახლე ინგრევა და ყველაფერი იმაზე უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე რეაბილიტაციამდე იყო. დადიანების სასახლე ხომ ყველა პოლიტიკაზე მაღლა დგას და ყველა პოლიტიკურ გემოვნებაზე უფრო მაღალია. აი, ამ ადამიანებს გავახსენე ის, რომ რითაც ჩვენ ვამაყობთ და არის ჩვენი ევროპელობის სიმბოლო, გადარჩა და გადაარჩინა ფონდმა „ქართუმ“ და უპირველეს ყოვლისა ბიძინა ივანიშვილმა. მე რომ ეს არ ვთქვა და ხაზი არ გავუსვა, არ შემიძლია იმიტომ, რომ მადლიერება არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი გრძნობა ადამიანისა“.

რაც შეეხება კითხვას, უამრავი ქველმოქმედების ფონზე, რაც ბიძინა ივანიშვილს საქართველოსთვის აქვს გაკეთებული, რამდენად სამართლიანია მისი „ოლიგარქად“ წოდება და სანქციების დაწესების მოთხოვნა, ისტორიკოსი ამბობს, რომ პოლიტიკურ განცხადებებს არ აკეთებს, მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას ახდენს. ფაქტი კი არის ის, რომ ერთადერთი ფონდი, რომელმაც რესტავრაცია საკუთარ თავზე აიღო, „ქართუ“ და ბიძინა ივანიშვილია.

„კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პირადად მე ვარ მომსწრე, როგორ მიიღო ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვეტილება. სხვათა შორის, ჩვენ ძალიან აქტიურად ვცდილობდით, რომ ეს სასახლე გადარჩენილიყო, არ გეგონოთ, რომ გულხელდაკრეფილები ვისხედით, მაგრამ ეს იყო იმხელა თანხებთან დაკავშირებული, რომ არცერთი ფონდი და არცერთი საქველმოქმედო ორგანიზაცია ამას ხელს არ ჰკიდებდა“, – თქვა ხელოვნების სასახლის გენერალურმა დირექტორმა.

შეგახსენებთ, ზუგდიდმა **EU4Culture**-ის კონკურსში გაიმარჯვა და კულტურული განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად 300 000 ევროს გრანტი მოიპოვა. აღნიშნულს ევროპარლამენტარი, ვიოლა ფონ კრამონი „ტვიტერში“ გამოეხმაურა და საქართველოს ევროკავშირში გარდაუვალ გაწევრიანებაზე გაამახვილა ყურადღება.

KVIRA.GE

ყაზახეთი: ძლიერი პრეზიდენტი, გავლენიანი პარლამენტი, ანგარიშ-ვალდებული მთავრობა



2022 წლის 1 სექტემბერს, ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა ყოველწლიური მიმართვა გააკეთა თავისი მოქალაქეების მიმართ. სახელმწიფოს მეთაურის მიერ წარმოდგენილი ინიციატივების შთამბეჭდავი პაკეტი აუცილებელია საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიზაციისთვის. ამასთან დაკავშირებით, ყაზახეთის ლიდერი არა მხოლოდ შორსმჭვრეტელი სტრატეგისა და პოლიტიკოსის თვისებებს ავლენს, არამედ პრეზიდენტისაც, რომელსაც აღელვებს თავისი მოქალაქეების მედი.

პრეზიდენტი მართლაც რომ ყაზახეთის პოლიტიკური პრაქტიკისთვის უპრეცედენტო გადაწყვეტილებით გამოვიდა, როდესაც გამოაქვეყნა მთელი საარჩევნო გრაფიკი და სახელმწიფოს ინტერესები ყველაფერზე უფრო მაღლა დააყენა. ასე, მიმდინარე წლის შემოდგომაზე რესპუბლიკაში ჩატარდება რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები.

გარდა ამისა, მომავალი წლის პირველ ნახევარში, ასევე შედგება მეჯლისის (პარლამენტის) და ყველა დონის მასლიხატების (ადგილობრივი საკრებულოები) არჩევნები. ამ გზით ქვეყანა მიიღებს დეპუტატების ახალ შემადგენლობას, რომელიც მოქალაქეთა ფართო სპექტრის ინტერესების გამომხატავი იქნება.

როგორც ყაზახელი პოლიტოლოგები ამტკიცებენ, მთელი საარჩევნო ციკლის ამოქმედება განპირობებულია ყაზახეთის პოლიტიკური სისტემის კარდინალური გადატვირთვის აუცილებლობით და მთლიანად შეესაბამება მოქალაქეთა მიერ ამა წლის ივნისის რეფერენდუმზე მხარდაჭერილი საკონსტიტუციო რეფორმის ლოგიკას.

ყასიმ-ჟომარტ ტოკაევის გამოსვლისას გაიჟღერა კიდევ ერთმა ხმამაღალმა წინადადებამ: მოხდეს პრეზიდენტის მანდატის შეზღუდვა 7 წლის ვადით, ამ ვადის გასვლის შემდეგ, მისი გადარჩევის უფლების გარეშე. ასეთი პოლიტიკური ინოვაცია, არ იცნობს პრეცედენტებს ყაზახეთის ახლო და შორეულ სამეზობლოში - აღნიშნავენ ადგილობრივი პოლიტოლოგები. მისი მიზანია, მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გრძელვადიანი სტაბილიზაცია, რაც მთავარია – მოხსნას ხელისუფლების მონოპოლიზაციის რისკები და გაამყაროს დემოკრატიის საბაზო პრინციპები.

ესა და აღრე გატარებული სხვა ზომები მოწმობენ, რომ ყაზახეთი მყარად მიდის დასახულ გზაზე და სცილდება ხელისუფლების სუპერსაპრეზიდენტო მოდელს. სწორედ ტოკაევის პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ იქნა დაწყებული თვალშისაცემი ცვლილებები, რომლებიც ხალხის მიერ ხალისით იქნა მხარდაჭერილი. მისი ინიციატივების წყალობით, მთელი ძალაუფლება ყაზახეთში უკვე აღარ იქნება ერთი ადამიანის ხელში მოქცეული: სახელმწიფოს მეთაური უპარტიო უნდა იყოს, მაშასადამე, მიუკერძოებელი. მის ნათესავებს არ შეეძლებათ სახელმწიფო სტრუქტურებსა და სახელმწიფო კომპანიებში თანამდებობების დაკავება, პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ნაწილი ხელისუფლების სხვა ინსტიტუტებს გადაეცემა.

ყაზახეთში კვლავინდებურად მოქმედებს ტოკაევის მიერ შემუშავებული შემსმენი სახელმწიფოს კონცეფცია, რასაც მოწმობს მისი მიმართვა, სადაც უბრალო მოქალაქეების პრობლემები და მიმართვები განიხილება. კერძოდ, პრეზიდენტმა გადაწყვიტა, მინიმალური სახელფასო ზღვარი მაღლა ასწიოს, რაც 1,8 მილიონი მოქალაქის შემოსავლებზე იქონიებს დადებით გავლენას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წყლის პრობლემატიკას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წყლის ნაკლებობა სერიოზულ წინაღობას წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. ასე, პრეზიდენტმა დავალება გასცა, შემუშავებულ იქნას წყლის მეურნეობის სამწლიანი განვითარების გეგმა, საჭირო ექსპერტების მოსამზადებლად და ამ დარგში ძლიერი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების გამოსავლენად.

დაგეგმილია საპენსიო სისტემის არსებითი გადატვირთვა პენსიის საბაზო ნიხრის თანმიმდევრულად აწევის მიზნით. ასე, 2028 წლამდე, საპენსიო ასაკი ქალებისთვის დადგინდა 61 წლის დონეზე. ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, რომ 2025 წლამდე მთლიანი პენსიები გაზარდოს საშუალოდ 27 პროცენტით. მოხუც ადამიანებზე ზრუნვა არა მხოლოდ თავისი მოქალაქეების შემსმენი ლიდერის მახასიათებელია, არამედ დამოხატავს ყაზახეთის ტრადიციებსაც, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი უფროსებისადმი პატივისცემაა.

ქვეყანაში ახალ თაობებზეც ზრუნავენ: საპრეზიდენტო მიმართვაში ცალკე პუნქტად ბავშვების თემაა გამოყოფილი. მანამდე ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა 2022 წელი ბავშვების წლად გამოაცხადა, ხოლო ამ გამოსვლაში სტარტი მისცა ახალ პროგრამას „ეროვნული ფონდი – ბავშვებს“, რომლის ფარგლებში გამოვიდა ინიციატივით, ეროვნული ფონდის წლიური საინვესტიციო შემოსავლის 50% გადაირიცხოს 18-წლამდე ბავშვებისთვის გათვალისწინებულ სპეციალურ დაგრეგვების ანგარიშებზე. სრულწლოვანების მიღწევისას, დაგროვილი თანხები მიმართული იქნება საცხოვრებელი ფართის შესაძენად და განათლების საფასურის დასაფარად.

ნებისმიერი კარგი პოლიტიკოსი, რომელიც პასუხისმგებლობით უდგება ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხს, არ უნდა უგულებელყოფდეს ახალგაზრდობის განათლების საკითხს. გასაკვირი არ არის, რომ მთავრობასა და რეგიონების ხელმძღვანელობას, ერთ-ერთ პრიორიტეტად, პრეზიდენტმა ტოკაევმა ახალი სკოლების მშენებლობა დაუსახა. ამასთან, მან გააჟღერა იდეა, რომელიც მთავრობის წევრებმა დიდი ენთუზიაზმით გაიზიარეს: უკანონოდ მიღებული შემოსავლები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ იქნება ამოღებული კორუფციონერებისგან სასამართლოს გზით, მიმართულ უნდა იქნეს სკოლების მშენებლობაზე.

რაც შეეხება ერის ჯანმრთელობის საკითხს, რომელიც ძირეულ საკითხებს განეკუთვნება. ყურადღება მიექცევა სამედიცინო ინფრასტრუქტურის კომპლექსურ გაუმჯობესებას. მალე იქნება ამუშავებული ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის სისტემა. ხდება ექიმთა დახელოვნებისა და მომზადების სისტემის სრულყოფა. მაგალითად, სამედიცინო უმაღლესებთან გაჩნდება მრავალპროფილური საუნივერსიტეტო საავადმყოფოები და კლინიკები.

პრეზიდენტმა ტოკაევმა ქვეყანას აუწყა, რომ სოციალური დაზღვევის სისტემის მონაწილეებისთვის სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში გაცემული დახმარება გაიზრდება საშუალო-თვიური შემოსავლის 45%-მდე. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში რამდენიმე წლის მანძილზე აქტიურად და ეფექტურად ებრძვიან უმუშევრობას, ყოველმხრივ დახმარებას უწევენ უმუშევრებს გადამზადებაში, შრომით მოწყობასა და საკუთარი საქმის გახსნაში. ასეთი ღონისძიებები, როგორც ცნობილია, ხელს უწყობს სიღარიბით მოცული მოსახლეობის ფენების შემცირებას.

ამ მხრივ, ყაზახეთში განსაკუთრებულად უჭერენ მხარს ახალგაზრდობის ინიციატივებსა და სტარტაპებს. საამისო მტკიცებულებად გამოდგება მიკრო დაკრედიტების ცალკე მექანიზმი წლიური 2,5%-ით, რაც მალე ამოქმედდება ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდასაჭერად.

პრეზიდენტი შეეხო სასამართლო პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერების თემას. პრინციპულად მნიშვნელოვანია ძალოვანი ორგანოების გავლენის აღმოფხვრა, რათა გამოირიცხოს მათი მხრიდან მოსამართლეებზე ადმინისტრაციული ზეწოლის მექანიზმები. ამასთან, მოსამართლეების პასუხისმგებლობა, სერიოზულ დარღვევებთან დაკავშირებით, გაიზრდება.

ამასთან, ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა მოუწოდა გაეროს პრინციპებს, სამართლიანი სასამართლოსა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგულებისკენ, როდესაც გამოთქვა აზრი, რომ „ტრაგიკული იანვრის“ მოვლენების მონაწილეებს უფლება აქვთ, მიიღონ მეორე შანსი. პრეზიდენტმა გადაწყვიტა, მათთვის გაატაროს ერთჯერადი ამნისტია. რასაკვირველია, ამნისტია არ შეეხება მთავარ ფიგურანტებს, რომლებმაც მოახდინეს უწესრიგობათა ორგანიზება. ამნისტია არ გავრცელდება რეციდივისტებზე, ტერორისტებსა და ექსტრემისტებზე, ადამიანების მწამებლებზე. კანონის უზენაესობის გაუქმებას არავინ აპირებს – ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის მიერ გახმოვანებულ გზავნილში წარმოდგენილია მეტად პროგრესული იდეები, რომლებიც პრინციპულად ახალ პოლიტიკურ ფურცელს შლიან ქვეყნის ისტორიაში. ექსპერტები დარწმუნებულნი არიან: ეს პოლიტიკური ინიციატივები კომპლექს – გავლენიანი პარლამენტი – ანგარიშვალდებული მთავრობა“.

ახალი სტანდარტები, რომლებიც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მაქსიმალურ გამჭვირვალობას უზრუნველყოფენ, უეჭველად მოახდენენ მხოლოდ დადებით გავლენას ყაზახეთის საზოგადოების დემოკრატიულობის ხარისხზე.

მურთაზ თურქაძე

სალომე ზურაბიშვილი: ეროვნული თანხმობა სავსებით შესაძლებელია!

დღეს, როცა ვუყურებთ პოლიტიკური ემიგრაციის ამ ფურცლებს, ვრწმუნდებით, რომ შესაძლებელია ეროვნული თანხმობა შედგეს, თუნდაც იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ძალიან განსხვავებული წარმოდგენები და იდეოლოგია გააჩნიათ, – ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა ორბელიანების სასახლეში ვარლამ ჩერქეზიშვილის შრომების, ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურის ციფრული ვერსიების გამოფენის გახსნისას გააკეთა.

„დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ გავიხსენოთ ვარლამ ჩერქეზიშვილი და გავხსნათ ძალიან საინტერესო გამოფენა. ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობა, რომელიც პოლიტიკურ ემიგრაციასაც უკავშირდება ჩვენი ისტორიის ძალიან საინტერესო ნაწილია. ემიგრაცია არ დაწყებულა მხოლოდ 1921 წლის შემდეგ, ის ბევრად უფრო ადრე, რუსული იმპერიის დროს დაიწყო და ვარლამ ჩერქეზიშვილი იმ დროს უკვე იყო პოლიტიკურ ემიგრაციაში. ეს ადამიანები იქ ამზადებდნენ ჩვენი სახელმწიფოს საფუძვლებს, ჩვენს სახელმწიფო იდეოლოგიას. იბრძოდნენ იმთავითვე დამოუკიდებლობისთვის და იმისთვის, რომ ეს ქვეყანა სწორედ ევროპულ საწყისებზე შექმნილიყო. ვარლამ ჩერქეზიშვილი ანარქისტი იყო და ამავდროულად, სხვებთან ერთად იბრძოდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

დღეს გვგონია, რომ ყველაფერი იწყება და თავდება დაპირისპირებითა და პოლარიზაციით - დღეს მხოლოდ ეს გვესმის – სხვადასხვა ადამიანების ერთმანეთთან დაჯახება, რომლის დროსაც გვრჩება განცდა, რომ ხშირად იკარგება სახელმწიფო და ეროვნული ინტერესები. წინა პლანზე გამოდის მხოლოდ ეს კონფლიქტი, მხოლოდ ეს, ვიწრო გაგებით პოლიტიკური, პარტიზანული დაპირისპირება. სწორედ ვარლამ ჩერქეზიშვილია იმის მაგალითი, რომ თურმე შეიძლება სხვანაირადაც. ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, მაინც იყო ერთი და ერთიანი გაგება იმისა, რომ მთავარი საქართველოს დამოუკიდებლობაა და ყველა ამისათვის იბრძოდა.

ამიტომ მე არაერთხელ გამოვედი ინიციატივით, რომ (ალბათ, უფრო ვაკის პარკში) შეიქმნას, ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ფორმით, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ერთიანი მემორიალი, რომელთა შორისაც იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი.

ძალიან სასიხარულოა, რომ დღეს ჩვენთან არიან სკოლის მოწაფეები საგარეჯოდან, ვარლამ ჩერქეზიშვილის მშობლიური კუთხიდან. მნიშვნელოვანია, რომ დღეს სკოლებში დაიწყოს პოლიტიკური ემიგრაციის პერიოდისა და ამ პიროვნებების შესახებ უფრო საფუძვლიანი სწავლება. უნივერსიტეტში ჩვენ გვყავს სწორედ პოლიტიკური ემიგრაციის სპეციალისტები, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ექსპერტების საკითხი, ეს საზოგადოებისთვის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, სასიხარულოა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი ეს გამოფენა არ იქნება ერთდღიანი გამოფენა, ის გასცდება დედაქალაქს და გავა რეგიონებში.

ბორელი ჩინეთის იმედზეა



საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ჟოზეფ ბორელმა, ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო მრჩეველსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ვანგ ის მიმართა. მან ჩინელ კოლეგას მოუწოდა, ზეგავლენა მოახდინოს რუსეთზე და დაარწმუნოს, რომ უკრაინის წინააღმდეგ აგრესია დაასრულოს.

„მათ განიხილეს რუსეთის გაუმართლებელი ომი უკრაინის წინააღმდეგ, მათ შორის დესტაბილიზაციის გლობალური ეფექტები, ასევე, ადამიანის უფლებების საკითხები. უმაღლესმა წარმომადგენელმა ბორელმა გაიმეორა ევროპის მოლოდინი, რომ ჩინეთი გამოიყენებს თავის გავლენას რუსეთზე, ომის დასასრულებლად, რომელიც მსოფლიო მასშტაბით სამმაგ კრიზისს იწვევს – სურსათის, ენერგიის დეფიციტსა და ფინანსურ არასტაბილურობას“, – აღნიშნულია ევროკავშირის ევროპულ საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) განცხადებაში.

◎ კაცი ქართულ ფეხბურთში

ზურაბ პეტრიაშვილი:

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდება!

მართალია, 15 თებერვლის ყრილობაზე ეროვნული ჩემპიონატის იდეამ გაიმარჯვა, მაგრამ ორიოდე დღეში საკავშირო ოფიციოზმა და მედიამ ადგილობრივ საფეხბურთო ჩინოვნიკებთან ერთად გააჩაღეს კამპანია ჩვენი საერთაშორისო იზოლაციის მუქარით. ეს ბრძოლა 22 თებერვლამდე გაგრძელდა, როცა საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის არჩილ გოგელიას კაბინეტში გადაწყდა, რომ გამოვეყოფოდით საბჭოთა ფეხბურთს და დავიწყებდით დამოუკიდებლად განვითარებას.

ახლა კი მათთვის, ვისაც ჰგონია, რომ ეს დამოუკიდებლობა ვინმემ ლანგრით მოგვართვა. არაფერი მსგავსი – დამარცხებული მხარე მთელი წლის განმავლობაში განაგრძობდა ბრძოლას ეროვნული ჩემპიონატის წინააღმდეგ და იხტიბარს არ იტეხდა.

როგორც მოგვიანებით ყრილობის ერთ-ერთმა თავმჯდომარემ ბატონმა ომარ გოგიაშვილმა განაცხადა, ის ყრილობის მსვლელობისას სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა ორჯერ გაიყვანეს დარბაზიდან და ყრილობის ჩაშლას აიძულებდნენ. ბატონი ომარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უარი განაცხადა, რომ ის ამას არ გააკეთებდა და თავად ჩაეშალათ. დესტრუქციული ძალების ანტიეროვნული ქმედებები გაგრძელდა 29 მარტს, როდესაც ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩის წინა ღამეს მთავარ არბიტრ მევლუდ მიმინოშვილს ასევე აიძულებდნენ თამაშის ჩაშლას. ბატონი ომარის მსგავსად, ბატონმა მევლუდმაც საკადრისი პასუხი გასცა სუკ-ის აგენტურას და 30 მარტს ჩინებულად გაუძღვა ისტორიულ მოვლენას. მოკლედ, ეროვნული ზეიმი შედგა, თუმცა, არ გეგონოთ, რომ დესტრუქციულმა ძალებმა ხმალი ქარქაშში ჩააგეს. პირიქით, თბილისში არსებულ კონკრეტულ ცენტრში ადგენდნენ ზონდერჯგუფებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ მატჩების ჩაშლა და სტადიონებზე არეულობის მოწყობა.

არც ჩვენ გახლდით გულხელდაკრეფილნი და კონტრზომებს ვიღებდით. კერძოდ, პირადად მე – სფფ-ს საშეჯიბრო განყოფილების უფროსი ხონში ჩავედი, რათა მომემზადებინა ჯგუფი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო წესრიგი ლანჩხუთში თასის ნახევარფინალზე გურია – იბერია. მოსალოდნელი არეულობა ამით აღვკვეთეთ და საერთოდაც უნდა ითქვას, რომ მათი მცდელობების მიუხედავად ძირითადად მაღალ დონეზე ჩავატარეთ პირველი ეროვნული ჩემპიონატი.

– და მაინც, რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს?

– ჩემი პრეტენზიული განცხადება მომავალში მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების თაობაზე ასეთი არგუმენტირებული არასოდეს ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ 81 წლის თაობა ჩემი თაობაა, ერთად მითამაშია არაერთ მათგანთან ერთად და მათ საქართველოს უდიდესი სიხარული აჩუქეს, რის გამოც ქედს ვიხრი მათ წინაშე, ამავდროულად ვფიქრობ, რომ ერი მხოლოდ წარსულით არ უნდა ამაყობდეს. დიახ, ერი უნდა ზრუნავდეს აწმყოსა და მომავალზე და ახალი წარმატებები უნდა გამოვჭედოთ. რაც შეეხება შემდგომ თაობას, ცხადაძე, ქეცბაია, ქინქლაძე, ძმები არველაძეები, ჯამარაული, ნემსაძე, კობიაშვილი, კალაძე, იაშვილი, გოგიჩაიშვილი, ცქიტიშვილი, მათ სერიოზული წარმატება შეეძლოთ მოეტანათ, მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა დამანგრეველმა ვითარებამ არ მისცა მათ ამის საშუალება.

და აი, დღევანდელობა: მე ხვიჩა კვარაცხელია ფეისბუქში მეგობრებში მყავს და მივწერე: 1990 წლის 15 თებერვალს დამოუკიდებლობისთვის რომ ვიბრძოდი, სწორედ დღევანდელ თაობაზე ვფიქრობდი. კვარაცხელიამ ხომ მთელი მსოფლიო აალაპარაკა, რომელმაც 21 წლისამ სადებიუტო აგვისტოს თვის საუკეთესო მოთამაშეობა დაიმსახურა. აგრეთვე როგორ არ უნდა გამოვხატოთ აღტაცება ვალენსიას ძირითადი მეკარით გიორგი მამარდაშვილით, რომელზეც გრანდები ნადირობენ. იგივე შეიძლება ითქვას ლოჩოშვილზე, კიტეიშვილზე, კანკავაზე, მიქაუტაძეზე, კაშიაზე და, განსაკუთრებით, ჩაკვეტაძეზე, რომელიც ნელ-ნელა ჩვეულ კონდიციებს იბრუნებს. აქვე ახსნას ვერ ვუძებნი პოზნანის ლეხის თავკაცის უნდობლობას გიორგი წიტაიშვილისადმი, რომელიც, მწამს, მალე იპოვის საკუთარ კლუბს.

საქართველოს ნაკრებს, მჯერა, დაუბრუნდება უდავოდ უნიჭიერესი გიორგი არაბიძეც, რომელმაც ტრავმის გამო ძვირფასი დრო დაკარგა...

ქვეყანაში შექმნილი მშვიდი ვითარება, რაც მოქმედი ხელისუფლების დამსახურებაა, ყველა პირობას ქმნის, რომ ფეხბურთი განვითარდეს. ამას უნდა დავუმატოთ 3 ფაქტორი: პირველი – საფეხბურთო, მათ შორის ბავშვთა კლუბების დაფინანსება, მეორე – ინფრასტრუქტურა. სტადიონების მშენებლობის ბუმია. მესამე – აკადემიები ბათუმიდან თელავამდე! მე კარგად ვიცი, როგორი ტემპებით ვითარდება მსოფლიო ფეხბურთი და როგორი ძნელია, რომ მას აუწყო ფეხი, მაგრამ მწამს, რომ გაიზრდებიან ახალი კვარაცხელიები, არაბიძეები, ჩაკვეტაძეები, წიტაიშვილები, ლოჩოშვილები და საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდება!

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 147-148

◎ ძიუდო

საფრანგეთშიაც საქართველოზე ფიქრით

სოფელ კურდღელაურში (თელავი) დაიბადა და გაიზარდა. როგორც ყველა კახელი ჭაბუკი, პატარაობიდანვე ჭიდაობთ იყო გატაცებული. ამას ოჯახური ტრადიციაც უწყობდა ხელს – მამა, გივი ფოთოლაშვილი, ყოფილი მოჭიდავე და აწ უკვე წარმატებული მწვრთნელი იყო. შეგახსენებთ, რომ ბატონი გივი სამბოში მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონ ვახტანგ ჩიდრაშვილის პირადი მწვრთნელია. მისი აღზრდილია მძიმე წონაში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ზვიად ხანჯალიაშვილიც. სწორედ მასთან ერთად ვარჯიშობდა მამის ხელმძღვანელობით ჯაბა ფოთოლაშვილი, რომელსაც სპეციალისტები კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ...



ვახტანგ ჩიდრაშვილი (მარცხნივ) და ჯაბა ფოთოლაშვილი

– ძიუდოში ვარჯიში 12 წლისამ დავიწყე, – გვითხრა ჯაბამ, რომელიც რამდენიმე წელიწადია, საფრანგეთში ცხოვრობს და ახლა სამშობლოში მშობლებისა და ახლობლების მოსანახულებლად ჩამოვიდა. – ბავშვობისას უქმე დღეებს თანატოლებთან ერთად ნახერხმოყრილ სარბიელზე ვატარებდი. უფრო სერიოზულად წვრთნა მას შემდეგ დავიწყე, რაც 1997 წელს თანატოლებში თელავის პირველობა მოვიგე. 2000 წელს, როცა საქართველოს ჩემპიონი გავხდი, ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებში მიხმეს. სამწუხაროდ, იმ წელიწადს ფინანსური პრობლემების გამო გუნდი ევროპის ჩემპიონატზე ვერ წავიდა.

– 2001 წელს ესპანურ მურსიაში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე უნდა გეჭიდავა...

– დიახ, ასე იყო. მაშინ საქართველოს პირველობაზე მეორე ადგილი დავიკავე – გადამწყვეტი შეხვედრა ახმეტელ არჩილ შათირიშვილთან წავაგე. მწვრთნელმა ორივე დაგვტოვა ნაკრებში და თურქეთში ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე წაგვიყვანა. ჩვენ შორის უძლიერესი იქ უნდა გამოვლენილიყო. წინასწარი ორთაბრძოლები ორივემ მოვიგეთ. ფინალში არჩილს ვაჯობე და მურსიის საგზურიც დავიბევე. ამ შეჯიბრებისთვის პირენეელებს ივლისში უნდა ემასპინძლათ. თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ მაისში ქართული ჭიდაობის ერთ-ერთ ტურნირზე მუხლი ამოვიგდე და მენისკი დავიზიანე. სამწუხაროდ, ესპანეთი განზე დამრჩა.

– აბა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პირველობაზე როგორლა მოხვდი?

– 2001 წლის აგვისტოს მიწურულს ოპერაცია გავიკეთე, ოქტომბრის შუა რიცხვებში კი ვარჯიში განვაახლე. მალევე აღვიდგინე კონდიციები. 17 დეკემბერს ძიუდოისტთა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 5 შეხვედრა მოვიგე და ჩემპიონობა მოვიპოვე. იმ პირველობაში წონის ფავორიტების – დავით მარგოშვილისა და გიორგი რევაზიშვილის გარდა, ყველა უძლიერესი მონაწილეობდა. 2002 წლის იანვარში თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ვცადე ბედი. მარგოშვილისა და რევაზიშვილის შემდეგ მესამე ადგილი დავიკავე. სამბისტთა ნაკრების მაშინდელი მწვრთნელის - ოლეგ იაძის თხოვნით, სპორტის ამ სახეობის საქართველოს პირველობაზე ვიჭიდავე. რვა მეტოქეს ვძლიე და ჩემპიონობასთან ერთად დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონატის საგზური მოვიპოვე. თანამეგობრობის პირველობა მოსკოვში გაიმართა. 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში წინასწარი შეხვედრებისას აზერბაიჯანელი, რუსი, უკრაინელი და უზბეკი მეტოქეები ჩამოვიშორე გზიდან, ფინალში კიდევ ერთ რუს სამბისტს 8:0 მოგუგე და პირველ ადგილზე გავედი. ამ ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე გახლდათ.

– ამგვარი წარმატებების შემდეგ ჭიდაობას თავი რატომ დაანებე?

– 2002 წელს ქართულ ჭიდაობაში საქართველოს უნივერსიადა მოვიგე, მერე ძიუდოშიც ვცადე ბედი. ჩემდა საუბედუროდ, მესამე წრის შეხვედრისას ისევ ამოვიგდე ნაოპერაციევი მუხლი, თან ჯვარედინი იოგიც გამიწყდა და ამით ჩემს აქტიურ კარიერასაც წერტილი დაესვა. ექიმების რჩევით მომდევნო წელს საფრანგეთში გავიკეთე ოპერაცია, რეაბილიტაციაც იქვე გავიარე, ადგილობრივი კლუბის სახელითაც გამოვდიოდი ცოტა ხანს, მაგრამ აქტიურ მოჭიდავეად ტატამზე ჩემი დაბრუნება შეუძლებელი გახდა. სამაგიეროდ, იქვე ერთი კარგი ფრანგი გოგო გავიცანი და მასზე დავქორწინდი. შამბერიში ვცხოვრობთ, ორი ბიჭი გვყავს.

– ტატამს საბოლოოდ შეაქციე ზურგი?

– არა, რას ამბობთ. უტატამოდ ვერ გავძლებ. საფრანგეთში სამწვრთნელო კურსები გავიარე და საერთაშორისო ლიცენზია ავიღე. რამდენიმე წელიწადია ძიუდოს ადგილობრივ კლუბს (judo club la Motte-Servolex) ვავარჯიშებ. უფროსი ვაჟი 10 წლისაა და კლუბში ჩემი ხელმძღვანელობით ეუფლება ძიუდოს ანაბანას. ძალიან უყვარს ჭიდაობა.

– საფრანგეთში ამჟამად ბევრი ქართველი ცხოვრობს, მათ შორის სპორტსმენებიც არიან. თქვენი კლუბისთვის ხომ არავის მოუმართავს?

– არის ერთი ნიჭიერი ყმაწვილი – დუშელი ლევან ბანცური. წელიწადნახევარია, ვავარჯიშებ. ამას წინათ საფრანგეთის რეგიონული პირველობა მოიგო და ოქტომბერში საფრანგეთის ჩემპიონატის მე-2 დივიზიონში იჭიდავებს. პერსპექტიული სპორტსმენია. ჩემი ოცნებაა, ისეთი ტიტულოვანი ძიუდოისტები გავზარდო, როგორზეც ჭაბუკობისას თავად ვოცნებობდი.

– სამშობლოში ხშირად ჩამოდიხარ?

– წელიწადში ორ-სამჯერ, როგორც მომიხერხდება. მშობლები და ნათესაობა ხომ აქ მყავს. დღე არ გავა, ჩემებს ტელეფონით ან ინტერნეტით რომ არ შევეხმიანო. ბიჭებსაც ნამდვილ ქართველებად ვზრდი. უფროსი ვაჟი სკოლაში დადის, ამიტომ ამჯერად ოჯახი თან ვერ წამოვიყვანე. რამდენიმე დღეში მეც გავემგზავრები საფრანგეთს, რადგან შვებულება მიმთავრდება. შემოდგომის არდადეგებისას კი ცოლ-შვილი ჩამოვა საქართველოში. ჩემს მეუღლეს აქაურობა ძალიან უყვარს.

ვაჟა დანელია

საქართველოს რუსეთის დაშლა არ აწყობს – არასტაბილური ჩრდილოეთ კავკასია რომ არ მიიღოს!

(მეორე გვერდიდან) **რა უფრო აწყობს საქართველოს – რუსეთის დაშლა, თუ დასუსტება?**

ანალიტიკოს **ნიკა ჩიტაძის** აზრით, რუსეთის დაშლა საქართველოს მაინცდამაინც არ უნდა აწყობდეს, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში მიიღებს დაღესტნის, ჩეჩნეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის პრობლემებს. ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა უმეტესობა ეთნიკურად აფხაზებს ენათესავება, თუნდაც იგივე აფხაზურადიღეური ჯგუფი, სადაც ჩერქეზები შედიან. ყველას ახსოვს, 1996-98 წლებში, როდესაც ჩეჩნეთი დე ფაქტო დამოუკიდებელი იყო, პანკისიდან ხალხის გატაცება ხდებოდა.

„იმ პერიოდში თითქოს ლეკიანობა აღდგა. სხვათა შორის, ლეკიანობა თავის დროზე მარტო ლეკებს არ უკავშირდებოდა. დავით გურამიშვილს აქვს კარგად ნათქვამი, „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თითო ქიშტი!“ ამიტომაც ახლაც შეიძლება არასტაბილური ჩრდილოეთ კავკასია მივიღოთ. ჩეჩნები დღეს დოტაციას იღებენ რუსეთისგან, ის თანხები რომ მოაკლდებათ, მერე სად მოიძიებენ შემოსავალს? 44 ბილიკია ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოსკენ, რომელიც ვერ კონტროლდება. ამიტომ გამორიცხული არ არის, სახიფათო პროცესები წარიმართოს“, – აცხადებს ნიკა ჩიტაძე for.ge-სთან საუბრისას და განმარტავს, რომ, რეალურად, ჩვენ უფრო უნდა გვაწყობდეს რუსეთის დემოკრატიზაცია.

თუმცა, დემოკრატიზაციის გზაზეც რუსეთში ძალზე რთული ვითარებაა, რადგან პერსპექტივები არ არსებობს. ნაცისტური გერმანია როდესაც დამარცხდა მეორე მსოფლიო ომში, ასევე, ფაშისტური იტალია, იქ იყვნენ პროგრესული ძალები, რომლებიც დასავლეთის ხელშეწყობით მოვიდნენ ხელისუფლებაში და დაიწყეს ქვეყნის აღორძინება. ასევე მოხდა იაპონიაში, როცა ლიბერალ-დემოკრატიული პარტია მოვიდა ქვეყნის სათავეში. რუსეთში კი პუტინიც რომ წავიდეს, მისი ოპონენტები მაინც არიან „დერჟავიკული“ ამბიციებით შეპყრობილები. ამიტომ ჯერჯერობით დემოკრატიულ ძალებს რუსეთში არ აქვთ გავლენა.

ანალიტიკოსის მოსაზრებით, **რა თქმა უნდა, რუსეთის დასუსტება ჩვენ გვაწყობს, მაგრამ არა მთლიანი დაშლა, რომელიც დიდ ქაოსს გამოიწვევს. რუსეთის დასუსტება იმ მხრივ არის მისაღები, რომ როგორც გერმანია და იაპონია აღარ იყვნენ სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოები და ეკონომიკაზე აიღეს ორიენტაცია, რუსეთშიც ეს პროცესი უნდა დაიწყოს. ცხადია, ეს ცოტა გაჭირდება, მაგრამ გამორიცხული არაფერია. ასე გერმანიაშიც არავის წარმოედგინა, ნაცისტების დამარცხების შემდეგ დემოკრატიული ძალები თუ მოვიდოდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ ასე მოხდა, რადგან იქ ცოტა სხვა ვითარება იყო და გერმანიის და იაპონიის ოკუპაცია ამერიკამ მოახდინა.**

ანალიტიკოსი **დემურ გიორხელიძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ვერავის ავუკრძალავთ რუსეთის დაშლისთვის მომზადებას. თუმცა ყველაფერი უნდა დავინახოთ არა ემოციისა და ატრუებული ფსიქიკის დონეზე, არამედ ჩვენი სახელმწიფოს მომავლის პრიზმიდან.

„რუსეთი დაიშლება თუ არა, ეს რუსეთის პრობლემაა, მაგრამ მთავარია, ამ კოლოსალური მასშტაბის ძვრების დროს შევინარჩუნოთ სახელმწიფო. ქართველებმა კარგად არ იციან, რა მოხდება საქართველოში და როგორ განვითარდება მოვლენები. სცენარი ერთი – დაიშალა რუსეთი, რა ხდება? სცენარი ორი – იმარჯვებს დასავლეთი, რა ხდება? უკრაინა სალაპარაკო თემა აღარ არის, რადგან უკრაინა მხარეს არ წარმოადგენს და არც იქნება მხარე. უკრაინა ეს არის ომის მწარმოებელი ქვეყანა, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ყველა რისკი. ეს არის მათი არჩევანი. ჩვენ არ გვაქვს უფლება, უკრაინელებს ვუთხრათ, თქვენ კარგად მოიქეცით, ან ცუდად მოიქეცით. ისინი ამ ომისთვის ემზადებოდნენ, ამისთვის უზარმაზარი რესურსი მიიღეს დასავლეთიდან, მზად არიან ნებისმიერი მსხვერპლისთვის, მათ შორის, მზად არიან, ბოლო უკრაინელამდე იბრძოლონ, ეს მათი არჩევანია, ჩვენ რა უფლება გვაქვს მათი საქციელი განვსაჯოთ?!“ – აცხადებს დემურ გიორხელიძე.

მისივე თქმით, **მოიყოლებს თუ არა რუსეთის დაშლა საქართველოს, ეს არავინ იცის, მაგრამ აქ ერთ მხარეზე არც არის საუბარი, ეს არის გლობალური დაპირისპირება რუსეთსა და ანგლოსაქსურ სამყაროს შორის და რა მოჰყვება ამას, ზუსტი პროგნოზი არ არსებობს.**

მანანა ნოზაძე

„საზოგადოება კუს ტბა“ გამოხატავს ღრმა მწუხარებას ბესარიონ კილასონიას მეუღლის

ლუარა გიორგაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს.

ნოდარ ქორქაშვილის ნათელ ხსოვნას



მარადისობას კიდევ ერთი ღირსეული ქართველის სახელი შეუერთდა – ხსოვნის ბინადარი ბატონი ნოდარიც გახდა...

ძნელია მასზე წარსულში წერო. მისნაირი კაცები მუდმივი, ღირსეული თვისებებით გამოირჩევიან. განსაკუთრებული, მადლცხებული წესიერება, ზრდილობა, სითბო გამოარჩევდა სხვათაგან...

ამიტომაცაა მისი გარდაცვალება აგრერიგ სამწუხარო...

სააქაოს ამ ღვთისნიერ ადამიანს უმწიკვლო სახელი და დიდებული ოჯახი დარჩა.

მარადიულ სოფელში კი ჩვენი დიდი გულისტკივილი, ახლობელთა ცრემლი და საქართველოს გამთლიანებასა და უფრო გაბრწყინებაზე ფიქრი გაჰყვა...

განისვენოს მართალთა შორის...

„საუკუნოდ იყავნ ხსენება მისი, ხსენება და კურთხევა იმისი“... ამინ!

სესილი ხიზანიშვილი, რუსუდან ფაღავა, ავთანდილ ბიბილაშვილი, როსტომ როსტიაშვილი, გელა ახალკაცი, როსტომ ტყემალაძე, ზურაბ ბუკია.

ლადო ალექსი-მესხიშვილი – არქიტექტორი ეპოქების მიჯნაზე!

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა არქიტექტორ ლადო ალექსი-მესხიშვილისადმი (1915-1978) მიძღვნილ გამოფენაზე საარქივო მასალა წარადგინა.

თბილისის სპორტის სასახლის, წყალტუბოს სანატორიუმ „იმერეთის“, თბილისის ჭადრაკის სასახლის, „ვაკის პარკის“ კასკადის, თბილისის ფოსტის ცენტრალური შენობის, მეტრო „თავისუფლების მოედნისა“ და სხვა გამორჩეული შენობების არქიტექტორის მოღვაწეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები და ფოტოები საზოგადოებას გამოფენაზე – „ლადო ალექსი-მესხიშვილი, არქიტექტორი ეპოქების მიჯნაზე“ პირველად წარედგინა. ამასთან, გამოფენის სტუმრებმა იხილეს ეროვნულ არქივში დაცული, რეჟისორ ლანა ღოღობერიძის ფილმი „წერილი შვილებს“ (1981), რომელიც ავტორმა მეუღლის ხსოვნას მიუძღვნა. ლადო ალექსი-მესხიშვილი XX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული არქიტექტორია. მისმა შემოქმედებამ საქართველოში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

დმანისის თეატრმა ზინაიდა კვერენჩხილაძის იუბილე აღნიშნა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ორგანიზებით, გამოჩენილი ქართველი არტისტის, ზინაიდა კვერენჩხილაძის 90 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

მათივე ინფორმაციით, ღონისძიების მასპინძელი გახლდათ დმანისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი **გიორგი სიხარულიძე,** ხოლო დმანისის თეატრის მსახიობებმა, დმანისის მუნიციპალიტეტის ფოლკლორულმა ანსამბლებმა, გუნდმა „პატრიარქის ნათლულები“, ანსამბლმა „მართვე“, ელდინო საღარაძემ და მაკა შალიკაშვილმა სტუმრებს განსაკუთრებული გარემო შეუქმნეს. საღამოს ფარგლებში ასევე შედგა კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული წიგნის „მე – ანტიგონე“ განახლებული გამოცემის პრეზენტაცია. წიგნში ზინაიდა კვერენჩხილაძემ აღწერა ანტიგონეს როლზე და ამავე სახელწოდების სპექტაკლზე მუშაობის რთული და საინტერესო პროცესი განუმეორებელი სერგო ზაქარიაძის მონაწილეობითა და მიხეილ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით.

ხაზგასასმელია, რომ საიუბილეო წლის ფარგლებში, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით ასევე გამოიცა წიგნი-ალბომი „ზინაიდა კვერენჩხილაძე – 90“.

ზინაიდა კვერენჩხილაძის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ საღამოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი დოხტურიშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერი კობა მურადაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ყულიაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. საღამოს განსაკუთრებული სტუმარი გახლდათ ზინაიდა კვერენჩხილაძის შვილი, რეჟისორი **გოგი მარგველაშვილი,** რომელმაც დედა და მისი მოღვაწეობა გაიხსენა, ასევე მადლობა გადაუხადა კულტურის სამინისტროს დმანისის თეატრის გაძლიერების საკითხის პრიორიტეტად ქცევისათვის.

აღსანიშნავია, რომ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელს უკავშირდება 1990 წელს დმანისში თეატრ-სტუდიის „ქვემო ქართლის“ დაარსება, რომელიც პატრიოტული თემატიკის რეპერტუარით, ეროვნული ცნობიერების ამაღლებასა და ქართული ენის დაცვას ემსახურებოდა. ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელს ატარებს დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელმაც 2022 წლიდან, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, ახალი ცხოვრება დაიწყო.

კერძოდ: 408 462 ლარამდე გაიზარდა თეატრის წლიური ბიუჯეტი, რომელიც მანამდე 26 000 ლარის ფარგლებში მერყეობდა; ახალგაზრდა მსახიობებისგან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი დასი; თეატრს გამოეყო დაფინანსება სადადგმო ხარჯისათვის; მიმდინარეობს მუშაობა შენობის რეკონსტრუქციისათვის.

ლევილის მამულში განსათავსებელი

ოდა სახლის პროექტი დამტკიცებულია!

ლევილის მამულში ქართული ოდა სახლი განთავსდება, როგორც ამას ითვალისწინებს მამულის საქართველოსთვის გადმოცემის აქტი და ის პირობები, რომელთა შესრულების დათქმითაც, მამული დაუბრუნდა მის ნამდვილ მესაკუთრეს, ქართველ ხალხს.

უკვე დამტკიცდა ოდის შესაბამისი პროექტი, რომლის ავტორია არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე. ამჟამად, პროექტის ფრანგულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით, მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები ფრანგ კოლეგებთან, ლევილის მერიასა და შესაბამისი რეგიონის პრეფექტურასთან. **ლევილის მერიის ცნობით, სამშენებლო ნებართვასა და სხვა საჭირო პროცედურებს 6-9 თვე შეიძლება დასჭირდეს. 275 კვ.მ. ფართობის ქვის დაბალ ხიმინჯებზე აღმართულ ოდა სახლში მოეწყობა დარბაზული სივრცე სხვადასხვა კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობისთვის. დარბაზის გვერდით მდებარე ოთახში შესაძლებელი იქნება ქართული სუვენირების გამოფენა-გაყიდვა. ოდის მიმდებარედ ასევე მოეწყობა 28 ავტომობილზე გათვლილი პარკინგი.**

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თეა წულუკიანისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ შამუგიას თანამშრომლობის შედეგად, უკვე მოძიებულია და შესყიდულია ოდისთვის საჭირო ხის მასალა და უახლოეს პერიოდში დაიწყება დამუშავების სამუშაოები. ამჟამად, მიმდინარეობს შესაბამისი კომპანიის მოძიება, რომელიც მასალის დახერხვის პროცესს გაუწევს ზედამხედველობას. **ოდა სახლს ქართველი ოსტატები დაამზადებენ საქართველოში. მასალა მათ მიერ ანტისეპტიკურად იქნება დამუშავებული. ოდა სახლი აეწყობა ჯერ საქართველოში, შემდეგ დაიშლება და ლევილის მამულში გადაინაცვლებს. შესაბამისად, ხის ყველა ელემენტი და კვანძები დამუშავდება საქართველოში, ხოლო ოდის კაპიტალური ნაწილი ფრანგული მხარის მონაწილეობით მოეწყობა. სახურავის სამუშაოებს კრამიტის ბურულის ჩათვლით შეასრულებს ქართული მხარე.**

როგორც ცნობილია, 2021 წლის ზაფხულში, პროექტი სახელწოდებით „პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრის, ლევილის ქართული აკადემიის შექმნა“ გადაეცა ახალშექმნილ უწყებას — საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

თბილისი, რომ უფრო ფერადი გახდეს!

„დედაქალაქის ინფრასტრუქტურული განვითარების ფონზე, მისი კულტურული იერსახეც იცვლება და ორგანულ კავშირში ებმება ქუჩის ხელოვნებასთან. ქალაქების ურბანული იდენტურობისა და მათი მიმზიდველობის მნიშვნელოვან ნაწილად ქცევის პერსპექტივა, ბერლინისა და სხვა ევროპული ქალაქების მაგალითზე, ქართველმა ხელოვანებმა და კურატორებმაც დაინახეს და დასავლური ქვეყნების ურბანისტული კულტურის ორგანულ ნაწილად ქცეული inhttn Ahn-ის გადმოტანა, ქართულ რეალობაშიც გადაწყვიტეს. ამას მივესალმებით და მხარს ვუჭერთ. ჯამში, დედაქალაქის მასშტაბით, უკვე 100-მდე კედელია მოხატული, მათ ავტორებს შორის არიან გამოცდილი უცხოელი არტისტები, ცნობილი ქართველი ხელოვანები და დამწყები ქუჩის მხატვრები, რომელთათვის ეს დიდი გამოწვევა იყო. ქუჩის მხატვრობის ფესტივალ „ნიკოსა“ და „თბილისი მურალ ფესტის“ ფარგლებში, ასევე კიდევ რამდენიმე ორგანიზაციისა და დამოუკიდებელი ხელოვანის მიერ შექმნილი განსხვავებული თემატიკის ნამუშევრები არამარტო აფერადებს ქალაქს, არამედ ქმნის ისეთ პლატფორმას, სადაც დამწყებ თუ გამოცდილ ხელოვანებს აქვთ საშუალება, წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედება და ხედვა“, — განაცხადა კახა კალაძემ მთავრობის ბოლო სხდომაზე.

თბილისის მერმა მოადგილეებს დაავალა, რომ ქუჩის მხატვრობა მეტად წახალისდეს და ამ მიზნით, ახალგაზრდა ხელოვანებთან შეხვედრა გამართონ.

„მინდა, დავავალო ჩემს მოადგილეებს, რომ კიდევ ერთხელ შეხვდეთ ამ დარგის წარმომადგენლებს და მაქსიმალურად დავეხმაროთ. 2019 წელს, დაახლოებით, 100 000 ლარი გამოვყავით მსგავსი პროექტების განსახორციელებლად. ეს თანხები ყოველწლიურად იზრდება. მზად ვართ, 500 000 ლარი გამოვყოთ, რომ თბილისი კიდევ უფრო ფერადი გახდეს. ახალგაზრდებს კი თავიანთი ნიჭის განვითარების შესაძლებლობა მიეცეთ“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

უძველესი ადამიანის კბილი კერძო პირის სახლში აღმოჩნდა!

8 სექტემბერს დმანისთან, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი 1,8 მილიონი წლით დათარიღებული უძველესი ადამიანის კბილი კულტურის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებმა (სავარაუდოდ), პალეონტოლოგ ნიკა ვანიშვილის სახლში იპოვეს, თავად ვანიშვილი კი გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა გამოკითხეს.

როგორ აღმოჩნდა კერძო პირის ოჯახში ეს უმნიშვნელოვანესი არტეფაქტი, ჯერჯერობით უცნობია.

კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის განმარტებით, არტეფაქტის სახლის პირობებში შენახვა, უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენისადმი, სრულიად დაუშვებელია!

ამ დროისთვის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში უკვე მუზეუმშია გადატანილი და საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

დონალდ ტრამპს ნიუ-იორკის პროკურორი უჩივის

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის წინააღმდეგ ნიუ-იორკის გენერალურმა პროკურორმა, ლეტიცია ჯეიმსმა 220-გვერდიანი სარჩელი შეიტანა. ქვეყნის 45-ე პრეზიდენტს და მის სამ შვილს ბრალად ედებათ წლების განმავლობაში ფინანსური თაღლითობა, მათ შორის კომპანიის კაპიტალიზაციის შესახებ ყალბი მონაცემების მიწოდება.

გენერალური პროკურორი აცხადებს, რომ ტრამპმა და სხვა ბრალდებულებმა, ათი წლის განმავლობაში 200-ჯერ მეტად შეაფასეს თავიანთი აქტივები. გამოძიება სამი წელი გაგრძელდა, რომლის დროსაც 65 მოწმე იქნა დაკითხული და მილიონობით დოკუმენტი გამოკვლეული. როგორც „დოიჩე ველე“ წერს, ტრამპი პოლიტიკური დევნის ობიექტად მიიჩნევს თავს და აღნიშნავს, რომ პროკურორი, რომელიც მას ბრალს სდებს, დემოკრატიული პარტიის წევრია.

პირველი ქართველი „ოსკაროსანი“

ძართული ცეკვის — „მთიულური“, „ფარიკაობა“ და „ყაზბეგური“ ილეთების გამოყენებით, 35 წლის მოცეკვავე და ტრიუკების ოსტატი, ლაშა მძინარაშვილი მსოფლიო კასკადიორთა ასოციაციის კონკურსის გამარჯვებული გახდა.

ლაშას, ჰოლივუდში „ტაურუსის“ მსოფლიო კასკადიორთა დაჯილდოებაზე, საუკეთესო ბრძოლის სცენის ნომინაციის ჯილდო გადაეცა. ქორეოგრაფმა ფილმის „The King's Man“ მთავარი საბრძოლო სცენა დადგა და ქართული ცეკვის ელემენტები ჰოლივუდში წარადგინა. ოსკაროსანი ქართველი ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტია.

ამ აღიარებისთვის ძალიან რთული გზა გავიარე, ყველაფერი დიდი შრომის შედეგად მოდის: ტრავმის, ცრემლის და ფინანსური პრობლემების ხარჯზე, — აცხადებს მძინარაშვილი.

ჩემთვის ნომინაციაზე წარდგენა უკვე უდიდესი წარმატება გახლდათ, დაუჯერებელია, რომ ამდენ გამოცდილ კასკადიორთა შორის მთავარი პრიზი მე დავიმსახურე. ცეკვა ჩვენი ოჯახის ტრადიციაა, მამა ყოფილი მოცეკვავეა, მეუღლე გვანცა მეტრეველიც, ჩემთან ერთად მოღვაწეობს ანსამბლ „რუსთავში“ -ამბობს ოსკაროსანი. ლაშას უკვე რამდენიმე შემოთავაზება აქვს ჰოლივუდიდან და თუ ქართული ცეკვის უნიკალურობას გავითვალისწინებთ, ეს ჯილდო მის კარიერაში ერთადერთი ნამდვილად არ იქნება.

მოამზადა რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 26 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8426; ევრო - 2.8218
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2252;
100 რუბლი - 4.6661; თურქული ლირა - 0.1554;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6765;
1000 სომხური დრამი - 6.8196.

ამინდი 23 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+26
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+10	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge